# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 205 (6305)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ტალიავინის დასკვნიდან გამომდინარე ფიქრები ④





## ნიკა ჩიტაძე: „ომი რომ არ დაწყებულიყო, რუსეთი სხვადასხვა ფორმით მაინც მოახერხებდა საქართველოს ოკუპაციას“ ③

## ოლეგ ბასილაშვილი: საქართველოსთან ისე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ტოლთან ⑪







## ② 7 შეკითხვა პრეზიდენტს



## სააკაშვილი არ ინანიებს ⑧ ომის გამო

## ნინო ბურჯანაძე სომხური ფონდის საპატიო ③ წევრობას ადასტურებს

## მეცნიერები ადასტურებენ, ⑪ რომ ტურინის სუდარა - სიყალბეა



## საქართველოს ხელისუფლებას!



### პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას მოკლე მიმართვა

დიდმა იტალიელმა მოაზროვნემ და ფილოსოფოსმა ნიკოლა მაკიაველმა, ჯერ კიდევ 15-ე საუკუნეში ბრძანა რომ, „ხელისუფლების მართვა შეიძლება მხოლოდ ორი მეთოდით.

პირველი — სიყვარულით;

მეორე — შიშით“;

ხელისუფლების შენარჩუნება შეუძლებელია, თუ ხალხს გაუჩნდა სიძულვილი და ზიზღი მის მიმართ.

ქართული მართლმსაჯულების გადაწყვეტილება ჩემში იწვევს ამ გრძნობას და ვშიშობ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ანალოგიური განცდა აქვს. საუბედუროდ, მე არ შემიძლია დავემორჩილო და პატივი ვცე ხელისუფლებას და მის ეგრეთ წოდებულ სხვა სასამართლო სისტემას, რომლის მსხვერპლიც ბევრ უკანონო მსჯავრდებულთან ერთად მეც ვარ. დიქტატურული, ტირანული მმართველობა შიშზეა დაფუძნებული, იგი მსხვერპლს მოითხოვს, საქართველოს კი სამსხვერპლოზე შესაწირი არაფერი დარჩა.

გაუმარჯოს საქართველოს!

პოლიტპატიმარი ვლადიმერ ვახანია.

- საქართველოს და ქალაქ ზუგდიდის პოლიციელებს!
- სამეგრელოს (ზუგდიდის რაიონის) კონფიდენტ-აგენტ „შევჩენკოს“, იგივე დავით ქუთელიას და მისი სახით მთელი საქართველოს სპეცაგენტებს!
- საქართველოს ჟურნალისტებს!


იხ. → ⑥-⑦

**ინფორმაცია**

## სერგეი ლავროვი უკრაინას აკრიტიკებს

**რუსეთის მთავარი დიპლომატის თქმით, კიევის მიერ გაკეთებული განცხადებები მოსკოვსა და თბილისს შორის შუამავლის როლის შეთავსების შესახებ „წესით არ უნდა კეთდებოდეს“.**

— მეზობელ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის მიზეზით არ შეწყვეტილა. რაც შეეხება უკრაინის სურვილს, ითამაშოს შუამავლის როლი, ამას აზრი არ აქვს, რადგან მოლაპარაკებების სურვილი საქართველოს არ გააჩნია, — აცხადებს ლავროვი.

## რუსეთის მოქალაქეები იქნებიან, თუ აფხაზეთის?

**ახალი აფხაზური პასპორტის მოქალაქეობის გრაფაში „რუსეთი“ ჩაიწერება.**

**სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას თქმით, ამის თაობაზე რუსეთთან შეთანხმება უკვე მიღწეულია.**

მისივე თქმით, პასპორტები მალე დაიბეჭდება.

— ფსოუზე საზღვრის გადაკვეთას მხოლოდ აფხაზური, ან რუსული პასპორტების მქონე პირები შეძლებენ. ჯერჯერობით შეზღუდვა ვრცელდება დღევანდელი აფხაზური პასპორტების მფლობელებზე, რადგან ეს დოკუმენტი საზღვრის გადაკვეთისთვის უვარგისია, — აცხადებს შამბა.

## ექნება პერსპექტივა ჟირინოვსკის წინადადებას?

**ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წევრის გიორგი თარგამაძის შეფასებით, ჟირინოვსკის წინადადებას პერსპექტივა არ აქვს.**

— არანაირი სამართლებრივი და პოლიტიკური წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ჟირინოვსკის წინადადების განხილვა თუნდაც ევროპის საბჭოს რომელიმე კომიტეტში სერიოზულ დონეზე მოხდეს, — აცხადებს თარგამაძე ჟირინოვსკის მიერ ევროსაბჭოში ქართული დელეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის ინიციატივაზე კომენტირებისას.

თუმცა, ქართველი დეპუტატის თქმით, რუსეთის დელეგაციას, ისე როგორც სხვა დელეგაციებს აქვს უფლება ორგანიზაციაში საკითხის დასმის.

— მაგრამ რამდენად ექნება პერსპექტივა ჟირინოვსკის ამ ინიციატივას, ამაზე მსჯელობა სერიოზული ანალიზის ფარგლებს სცდება, — განმარტავს თარგამაძე.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ ევროსაბჭოში ქართული დელეგაციისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევის წინადადებით პარლამენტის ქვედა პალატას მიმართა.

მისი თქმით, აღნიშნული საკითხი რუსეთის დელეგაციამ ევროსაბჭოს ზამთრის სესიაზე უნდა დააყენოს.

მსგავსი საკითხი ევროსაბჭოში ქართულმა მხარემ უკვე დააყენა, თუმცა რუსეთის დელეგაციისთვის უფლებამოსილების შეჩერებას დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**პრეზიდენტის და ეკონომიკური სინამდვილე**

# 7 შეკითხვა პრეზიდენტს

**პარლამენტში პრეზიდენტის „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ შეტანის შემდეგ პოლიტიკურ სპექტრში განხილვები არ წყდება. მოგეხსენებათ, პოლიტიკურ პარტიებს აქვთ საკუთარი ეკონომიკური განვითარების პროგრამები და პრეზიდენტს, რბილად რომ ვთქვათ, ბევრ საკითხში არ ეთანხმებიან. მათ შორისაა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც, რომელიც ყველაფერთან ერთად საკანონმდებლო ორგანოშიცაა წარმოდგენილი. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის „რევოლუციური“ გეგმაც განცხადების ადგილზე მოისმინეს, მაგრამ რადგან პრეზიდენტის გამოსვლა მონოლოგის რეჟიმში წარიმართა, ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით იმათ აზრის გამოთქმის საშუალება არ მიეცათ. „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ განხილვა პარლამენტში მომდევნო კვირაში დაიწყება. მანამდე კი ეროვნულ-დემოკრატები პრეზიდენტს ახალ ინიციატივაში უკეთ გარკვევისთვის 7 კითხვით მიმართავენ.**



**პარლამენტში წარმოდგენილი „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ პასუხს იძლევა კითხვაზე რა გვინდა, ესაა — თავისუფლება, შესაძლებლობები, თანასწორობა, ღირსება, მაგრამ გაურკვევლობა იწყება იქ, სადაც საჭიროა მივიღოთ პასუხი, — თუ როგორ გვინდა ყველა ამ საკითხის მიღწევა, — აღნიშნავენ პარტიაში. კითხვები კი, რომელიც მათ გაუჩნდათ, ადგილობრივ ოფიციალურ და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს ემყარება და ასეთია:**

**კითხვა I** — ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ საქართველომ უნდა შეძლოს გლობალურ ეკონომიკურ კონკურენციაში წარმატებების მიღწევა, მაგრამ ფლობთ თუ არა ინფორმაციას, რომ ისეთ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორიცაა „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“ რეიტინგით კონკურენტუნარიანობით საქართველო 133 ქვეყანას შორის მყარად ინარჩუნებს 90-ე ადგილს?

**კითხვა II** — როგორ აპირებს ხელისუფლება, დაამსხვრიოს ორი მავნე ტენდენცია, **ერთი** — როცა ქვეყნის ბიზნეს ელიტის პოლიტიკური გემოვნება, მიუხედავად მმართველი პარტიის მონაცვლეობისა, რატომღაც არ იცვლება და **მეორე** — როცა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით საზოგადოების მხოლოდ პრივილეგირებული მცირე ნაწილი და არა მთლიანად საზოგადოება სარგებლობს?

**კითხვა III** — მაშინ, როცა ქართული ეკონომიკის რეალური და ფინანსური სექტორის მნიშვნელოვან ნაწილს რუსეთი აკონტროლებს, გვაინტერესებს, როგორია მთავრობის სტრატეგია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან მიმართებაში?

**კითხვა IV** — საინტერესოა, დღეს რომ ბიუჯეტის დეფიციტის 3-პროცენტიანი კონსტიტუციური ზღვარი ძალაში ყოფილიყო, როგორ იმოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკური გუნდი?

**კითხვა V** — როცა ჩვენ უპირობოდ უარს ვაცხადებთ ქვეყანაში ახალი რეგულაციების შემოღებაზე და საქართველოს ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივას საფრთხის ქვეშ ვაყენებთ, ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს რა პასუხი გააჩნია?

**კითხვა VI** — გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით საქართველო სამწუხაროდ აუტსაიდერი ქვეყანაა. ამ სავალალო სიტუაციის გამოსასწორებლად აქვს თუ არა მთავრობას რაიმე პოლიტიკა შემუშავებული?

**კითხვა VII** — როცა ქვეყნის სოციალურ პოლიტიკას ეკონომიკური თავისუფლების აქტის კონტექსტში ვიხილავთ, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ხელისუფლება „ჩარევისგან თავისუფლების“ მოტივით პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებასა და გაქცევას ცდილობს. მოქმედმა შრომის კანონმდებლობამ, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებმა ჩვენი მოქალაქეების კრიტიკული მასა უუფლებოდ და საარსებო წყაროს გარეშე დატოვეს. ამგვარ მდგომარეობას რა საერთო აქვს ისეთ ფასეულობებთან, როგორიცაა ღირსება?

**ამ კითხვებს ეროვნულ-დემოკრატები პარლამენტშიც დასვამენ კანონპროექტის განხილვისას. გაიზიარებს თუ არა უმრავლესობა მათ მოსაზრებებს, უახლოეს ხანში ვიხილავთ. მანამდე კი ერთ რამეს აღვნიშნავ, პრეზიდენტის ახალი ინიციატივა ყურადღების გადატანის მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე ეკონომიკური გადატრიალების სურვილს.**

**ანა წიწილაშვილი**

**„თავისუფლების აქტი“**

# სარეკლამო პაუზა

**ჩემო ძვირფასო მკითხველო, ალბათ ხშირად მოგშლია ნერვები უაზროდ გაწელილ სარეკლამო პაუზებზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეკლამის მიმცემი კომპანიები იტყუებიან (მაგ: მაღალი ხარისხი — დაბალი ფასები, დ.ა.შ.**

უფრო ხშირად კი ალბათ იმაზე ბრაზდები, როდესაც ყოვლად უადგილო ადგილას გამოეკვეხება ხოლმე, ყოვლად გაუგებარი, არასაჭირო და, აქედან გამომდინარე, ნერვების მომშლელი რეკლამა.

მაგალითად, იმის მსგავსი, რომელშიც ვიღაც ტიპი ჰალსტუხს იხსნის, ან სკუტერს ტოვებს შოკოლადში, როდესაც შეუძლია გვერდზე მაღაზიაში თავისუფლად იყიდოს, ან ის, თუ როგორ „იწვევენ დუელში“ ერთმანეთს ონეგინ-ლენსკივით, ცოლ-ქმარი და სეკუნდანტებად შვილები ჰყავთ.

იმ სისულელეზე, რომელშიც გამოიყენეს ფრაგმენტები ფილმ „ჯარისკაცის მამადან“ და „სუხიშვილები“ აცეკვეს, აღარაფერს ვამბობ.

ჰოდა, ბატონმა სააკაშვილმაც ჩვეულ სტილში გააგრძელა თავისი „სარეკლამო ჩართვები“ და ამჯერად ახლად გახსნილი მცირე ქარხნებიდან და ბაღ-ვენახებიდან საქართველოს პარლამენტში გადაინაცვლა.

ამჯერად მან 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებული „ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის“ მსგავსი „თავისუფლების აქტი“ „შემოგვთავაზა“.

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ამ „აქტით“ მან, სადღაც ქვეცნობიერში, ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ საფრანგეთის რევოლუციას დაუკავშირა.

უბრალოდ ვიტყვი, რომ ეს მორიგი პიარ-აქცია, სხვებთან შედარებით, მაინცადამაინც არ გამოუვიდა (ისე რა მაგარი სიტყვაა „აქტი“ და თან „თავისუფლების აქტი“. უჰ, რა მაგარი ენაა ქართული ენა, რას არ „გაფიქრებინებს ადამიანს“ძ.

ახლა ბევრი რომ არ „გავაჩმახო“, უბრალოდ სააკაშვილის მიერ „შემოთავაზებულ“ ახალ ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელსაც რატომღაც „თავისუფლების აქტი“ ჰქვია, „თხლად“ განვიხილავ (მაინც რა მაგარი ფრაზაა ეს „თავისუფლების აქტი“. შვედეთია რაღაძ.

როგორც ბატონმა სააკაშვილმა ბრძანა, „თავისუფლების აქტი“ პირველ რიგში კონსტიტუციურად დაიცავს მკაცრ წესებს, რომლებიც შეზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობას გადახედოს ეკონომიკურ მმართველობას და გადაუხვიოს ლიბერალურ-ეკონომიკურ მიმართულებას.

მან თავისი გამოსვლის გასამყარებლად მრავალჯერ ახსენა ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები ქართული ეკონომიკის განვითარების შესახებ. სამწუხაროდ მისმა ამ „ისტორიულმა გადახვევებმა“, ქართული განათლების დამანგრეველი, ყველასათვის ცნობილი პროექტი გამახსენა.

მაპატიეთ ამ ერთი შეხედვით არაკორექტული შედარებისთვის, მაგრამ ასეა და რა ვქნა?

არ გავამახვილებ ყურადღებას იმ აქცენტების შეფასებებზე, რომლებიც ბატონმა სააკაშვილმა გააკეთა, რადგანაც მათზე უკვე ისაუბრეს და კიდევ ბევრს ისაუბრებენ სხვადასხვა ჯურის „პოლიტიკოსები“, თუ „ექსპერტები“.

არც იმ ერთმანეთისაგან გამომრიცხავ ფრაზებზე გავამახვილებ ყურადღებას, როგორებიც იყო მაგალითად ქართული ეკონომიკური წინსვლის შესახებ მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგები და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ვადები. თქვენ წარმოიდგინეთ და, იმ ფრაზასთან მიმართებაში, რომელშიც ბატონმა სააკაშვილმა ჯერ „საქართველოს უმაღლეს ეკონომიკურ ლიგაში მოხვედრა“ გვახარა და შემდეგ მოგვიწოდა, „დღევანდელი გამარჯვება, ხვალინდელ სიმდიდრედ ვაქციოთო“, არც „ყვითელი პრესისთვის“ დამახასიათებელ „ლოზუნგს გადმოვისვრი“.

არ „გადმოვისვრი“, რადგანაც ძალიან ბანალური იქნება.

წესით, აქ მცირე სკეპტიციზმი უნდა გამომეხატა, მაგრამ ბატონმა მიხეილმა „დამასწრო“ და თავად ბრძანა, რომ „ამ აქტის მიღება, რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ დღესვე ყველა გაჩერებული ქარხანა აგუგუნდება (ისე „აქტის“ არ იყოს, „გუგუნიც“ მაგარი სიტყვააძ, რომ ავტომატურად გადაიჭრება უმუშევრობის პრობლემა, მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო გადაიქცევა ქვეყნად, სადაც უმაღლესი კანონით, მთავარი საკანონმდებლო დოკუმენტით დაცულია ლიბერალური ეკონომიკური კურსის შეუქცევადობა. ეს აქტი საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო მიმზიდველი გავხადოთ საქართველო ინვესტორებისთვის და მოვიზიდოთ ახალი სამუშაო ადგილები“.

დამასწრო, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ იმ უცხოელ ინვესტორებზე „ზრუნვას“, ხომ არ აჯობებდა საკუთარი პროდუქციის დაცვაზე გეზრუნათ?

გეზრუნათ ისეთი კანონების მიღებაზე, რომლებიც პირდაპირ რომ ვთქვა, გაართულებდა იმ საქონლის იმპორტს, რომლის წარმოებაც საქართველოშია შესაძლებელი“

იქნებ სჯობდა და, იმ სავარაუდო უცხოელ ინვესტორებზე „ზრუნვას“, ჯერ ადგილობრივი მეწარმეებისთვის საქმიანობის გაიოლებაზე გეფიქრათ?

იქნებ სჯობდა, თავი დაგენებებინათ „მსოფლიოს ლიბერალური ეკონომიკის ფლაგმანად გადაქცევაზე“ ფიქრისთვის და საარსებო მინიმუმის გაზრდაზე და პენსიების მასთან შესაბამისობაში მოყვანაზე გეფიქრათ?

დაბოლოს: იქნებ სჯობდა და, ჯერ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაზე გეზრუნათ?

იქნებ სჯობდა, ჰა?

მაგრამ „რა ვიცი? ვიცი? არ ვიცი!“

არადა, ეს დღეები მართლაც კარგი ამინდები იყო საქართველოში და რაღა მაინცადამაინც პარლამენტის შენობაში გადაიღეს ის სარეკლამო კლიპი, ვერ გავიგე...

**გია გაბრიჭიძე**

შეფასება

*ცხადია, რომ საქართველო სერიოზული საგარეო გამოწვევების წინაშე დგას. ალბათ, არასოდეს დაწერილა ამდენი უცხოეთის პრესაში ჩვენზე, რამდენიც 2008 წლის 8 აგვისტოდან დღემდე.*

*ბოლო დროის მსოფლიო შფოთის საგნად კი ევროკავშირის აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის დასკვნა იქცა, რომელსაც ყველა ისე კითხულობს და ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, როგორც მას ეს შინაგანად სჯერა და ესმის.*

*საქართველოც და რუსეთიც დამნაშავეა, ბუნებრივია, დანაშაულის სიმძიმე ოსებსა და აფხაზებზეც მოდის — ყველაზე მკაფიო გზავნილი ეს არის ამ დოკუმენტიდან. მაგრამ უმთავრესი, რაც დაფიქრებად ღირს, ისაა, რომ ჰაიდი ტალიავინის ვარაუდით, ამით არაფერი დამთავრებულა. პროვოკაციები კვლავ გრძელდება. მოლაპარაკებების პროცესი უშედეგოდ მთავრდება, რუსეთი სამხედრო კონტინგენტსა და შეიარაღებას კავკასიაში აქტიურად ზრდის... ეს ყველაფერი კი იმის საბაბს იძლევა, რომ ვთქვათ, ფარული ომი გრძელდება, რომელიც არავინ იცის, როდის გამოიჩენს ღიად თავს.*

*საქართველოს საგარეო პოლიტიკის რამდენიმე ფაქტორზე გავესაუბრეთ პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძეს.*



# „ომი რომ არ დაწყებულიყო, რუსეთი სხვადასხვა ფორმით მაინც მოახერხებდა საქართველოს ოკუპაციას“

## იყო თუ არა გარდაუვალი რუსეთთან ომი?

**— ბატონო ნიკა, ჰაიდი ტალიავინის დასკვნამ გასცა თუ არა საბოლოო პასუხი კითხვას — ვინ დაიწყო ომი და შესაბამისად, ვინ არის დამნაშავე?**

— ამ დოკუმენტმა საბოლოო პასუხი ამ კითხვას ვერ გასცა...

**— რადგან ეს იყო დიპლომატიურად დაწერილი დასკვნა?**

— იყო, რა თქმა უნდა, დიპლომატიური მიდგომა ამ საკითხისადმი, მაგრამ ასევე იყვნენ პრორუსულად განწყობილი ექსპერტები კომისიაში, რომლებმაც გავლენა მოახდინეს საბოლოო დასკვნაზე.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— თუნდაც ის ფაქტი, რომ 900-გვერდიან დოკუმენტში არ არის აღნიშნული ისეთი მნიშვნელოვანი დეტალები, როგორიც იყო 2 აგვისტოდან განხორციელებული ინტენსიური სროლები ქართული სოფლების მიმართულებით, პროვოკაციები. 7-8 აგვისტოს განვითარებული მოვლენები იყო პიკი, კულმინაცია იმ არსებული კონფრონტაციისა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის უკვე არსებობდა.

**— ტალიავინის დასკვნიდან გამომდინარე როგორ იკითხება, ჰქონდა თუ არა საქართველოს ომის გარდა სხვა გამოსავალი?**

— იქ ზუსტად ასე არ არის აღნიშნული, მაგრამ ფაქტია, რომ რთული იყო ომის თავიდან აცილება. რუსეთს უკვე შემოყვანილი ჰყავდა თავისი საჯარისო ნაწილები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, იბომბებოდა ქართული სოფლები. საქართველოს სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი იმის გარდა, რომ საპასუხო ქმედება განეხორციელებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი აზრით, რუსეთი მაინც შემოვიდოდა, რადგან ფაქტი იყო, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ომის დაწყება.

**— თუკი საქართველოს ქმედებები იქნებოდა უფრო ლოკალური და არა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება, შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება?**

— მაშინ იქნებოდა ინტენსიური სროლები ორივე მხრიდან და ეს გაგრძელდებოდა ძალიან დიდხანს. როგორც ეს იყო 90-იანი წლების განმავლობაში. ამ გზით საქართველო უფრო ხანგრძლივ ომში ჩაებმებოდა. მაშინ რუსეთი სხვა გზით შეეცდებოდა საქართველოს დასუსტებას.

რუსეთის მიზანი ასეთი იყო: ქართული სოფლები დაეკავებინათ ვითომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს და რუსეთი არ გამოჩენილიყო, მაგრამ მას შემდეგ რაც ამ სეპარატისტულმა ძალებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, მერე რუსეთი ჩაერთო. რუსეთი სხვანაირად მაინც არ გაჩერდებოდა. ჩვენ კარგად გვახსოვს ქართული სამშვიდობო ინიციატივები, სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის ცხინვალში მოსალაპარაკებლად ჩასვლა, სადაც რუსული მხარე არ გამოცხადდა, მედვედევმა არ უპასუხა სააკაშვილის სატელეფონო ზარებს და ა. შ. მოკლედ, რუსეთი სხვადასხვა ფორმით მაინც მოახერხებდა ოკუპაციას, რადგან მას ეს მკაფიოდ ჰქონდა გადაწყვეტილი. ამდენად ომი გარდაუვალი იყო.

**— ასეა თუ ისე, ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მაინც საქართველოს სტრატეგიულ მეგობრად დარჩა. მეტიც, შესაძლოა მან თავდაცვითი ანტისარაკეტო სისტემის ნაწილები ჩვენს ტერიტორიაზე განათავსოს. როგორ ფიქრობთ, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, ქვეყნისთვის ეს კარგია თუ ცუდი?**

— რისკი არის, ბუნებრივია, მაგრამ დადებითი ამაში მეტია, ვიდრე უარყოფითი. ამერიკამ დათმო, შესაბამისად, პოზიცია შეცვალა რუსეთმაც. შედგა, ასე ვთქვათ, ჯენტლმენური შეთანხმება. ვნახოთ ეს რამდენად აისახება რეგიონალურ სტაბილურობაზე.

ყოველ შემთხვევაში, ჯერ განიხილება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების რამდენიმე ვარიანტი. მათ შორის რუსეთის ტერიტორიაზე, ასევე აზერბაიჯანში, შესაძლებელია ეს იყოს თურქეთში ან საქართველოში, შავი ზღვის აკვატორიაში, ყველაფერი ამერიკის სამხედრო წრეების გადასაწყვეტია, მაგრამ თუკი ეს იქნება საქართველოში, ეს ჩვენზე დადებითად აისახება. საერთოდ, ნებისმიერი სამხედრო ობიექტის განთავსება ჩვენს ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად აისახება საქართველოს უსაფრთხოებაზე.

**— ჯერ არ განთავსებულა, და რუსეთის პოლიტიკური ელიტა, თავდაპირველი შეფასებებისგან განსხვავებით, ზედმეტად აგრესიულია. ამბობენ, რომ მაშინ რუსეთის რაკეტები საქართველოსკენ იქნება მიშვერილი.**

— მოსკოვი, ყოველთვის გააკეთებს კრიტიკულ განცხადებებს. თუმცა თუკი ამერიკული რადარები საქართველოში დაიდგმება, რუსეთი იძულებული გახდება შეასუსტოს თავისი იმპერიული ზრახვები და ამბიციები. შეიძლება დაიწყოს საქართველოს დეოკუპაციის საკითხი მშვიდობიანი გზით. ეს თემა შესაძლოა იქცეს ამერიკა-რუსეთს შორის ვაჭრობის საგნად. რადგან ამერიკა მოსთხოვს გაიყვანოს სამხედრო ბაზები რუსეთმა ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან, საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან ამერიკული რადარების აღების სანაცვლოდ. ამის შემდეგ მოილაპარაკებენ, რა და როგორ მოხდეს და როგორ მოხსნან ეს პრობლემა.

დღეს რუსეთი გრძნობს, რომ ის არის კავკასიის რეგიონში მონოპოლისტი და სარგებლობს ამ სიტუაციით. ზრდის თავის სამხედრო კონტინგენტს არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაში.

ყოველ შემთხვევაში, თუკი ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო რადარები საქართველოში განთავსდება, ვფიქრობ, რუსეთი უფრო ანგარიშს გაუწევს ამერიკის შეერთებულ შტატებს და არა მხოლოდ მას, არამედ დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროს.

ესაუბრა
**თეა მოსია**

ინფორმაცია

### ბურჯანაძის წყნეთის აგარაკს ჯერჯერობით ვერ ყიდიან

**პარლამენტის** ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის საკუთარებაში არსებული წყნეთის აგარაკის გაყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებული აუქციონი ჩაიშალა.

თბილისის საგადასახადო ინსპექციაში აღნიშნულთან დაკავშირებით არც ერთი განაცხადი არ შესულა.

აუქციონი ორი კვირით გადაიდო. 14 დღეში ბურჯანაძის 1-ლარად შეძენილ ქონებაზე განმეორებითი აუქციონი გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ აუქციონზე წყნეთის აგარაკის საწყისი ფასი 11 494 249 ლარი იყო, განმეორებით აუქციონზე კი მისი ღირებულება 1 მლნ ლარამდე შემცირდება. თუ ბურჯანაძის საკუთრებაში არსებულ აღნიშნულ ქონებას მყიდველი არც ორ კვირაში გამოუჩნდება, შენობა სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

ბურჯანაძეს ერთ ლარად შეძენილ ქონებაზე მოგების გადასახადის 1,25 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა. თანხის გადაუხდელობის შემდეგ, 24 აგვისტოს ქონებას ყადაღა დაედო, 27 აგვისტოს კი ფინანსთა სამინისტრომ მისი გაყიდვის ნებართვა მიიღო.

ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# ნინო ბურჯანაძე სომხური ფონდის საპატიო წევრობას ადასტურებს

**ყოფილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ყოფილი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვართან ოსკანიანის მიერ დაარსებული ფონდ „სივილიტასის“ ე.წ. ბორდის საპატიო წევრია. Presa.ge-ს მიერ მოპოვებული ეს ინფორმაცია, ბურჯანაძის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა ივანიშვილმა დაგვიდასტურა**

„სივილიტასი“ კავკასიაში სომხეთის როლის განმტკიცებისთვის ილვწის. ამასთან, ფონდი ზრუნავს გლობალურ პროცესებში სომხეთის როლის განმტკიცებაზე. „სივილიტასი“ ხელმძღვანელობს თანამიმდევრული, ღია და ობიექტური დისკუსიებით; ასევე კულტურული, საგანმანათლებლო და პოლიტიკური დიალოგებით. ფონდის საქმიანობაზე უფრო დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ თავად ნახოთ, ფონდის ვებსაიტზე — http://www.civilitasfoundation.org/cf/who-we-are.html.

ამავე ვებგვერდზე (http://www.civilitasfoundation.org/cf/who-we-are/honorary-board.htmlძ ჩამოთვლილია ფონდის საპატიო ბორდის წევრთა სია, რომელიც ასე გამოიყურება: **ვართან ოსკანიანი,** სომხეთი — ფონდ „სივილიტასის“ დამფუძნებელი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; **ლოიდ ნ. აქსვორთი,** კანადა — ვინიპეგის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; **მურატ ბელგე,** თურქეთი — ჰელსინკის კომისია, ბილგის უნივერსიტეტი, სტამბული; **სტეფენ ვი. ბოსვორთი,** აშშ — ტაფტის უნივერსიტეტთან არსებული ფლეტჩერის სკოლის დეკანი; **ნინო ბურჯანაძე,** საქართველო — დემოკრატიისა და განვითარების ფონდის დამფუძნებელი, ყოფილი პარლამენტის სპიკერი; **ჟერარ ჩალიანდი,** საფრანგეთი — კონფლიქტოლოგი, კონფლიქტისა და მშვიდობის შემსწავლელი ცენტრის საბჭოს წევრი; **სერჟ კალენიანი,** რუსეთი — სოფლის მეურნეობის აკადემიის დეკანი, კორპორატიული მართვის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული; **არმენ დარბინიანი,** სომხეთი — სლავიანური უნივერსიტეტის დეკანი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი; **იოსი სარიდი,** ისრაელი — ანალიტიკოსი, კნესეტის ყოფილი წევრი, ყოფილი განათლების მინისტრი; **პეტერ ერ. როზენბლატი,** აშშ — ელჩი, ამერიკულ-ებრაული კომიტეტის მართვის ეროვნული საბჭოს წევრი; **ჟივან ტაბიბიანი,** ავსტრია — ელჩი, ეუთო-ში სომხეთის ყოფილი წარმომადგენელი; **ვალერი ტერანოვა,** საფრანგეთი-შირაკის ფონდის წევრი-დამფუძნებელი, ყოფილი საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩეველი; **სერჟ ტანკიანი,** აშშ — მუსიკოსი, ადამიანის უფლებების აქტივისტი; **ატომ ეგოიანი,** კანადა — დამოუკიდებელი რეჟისორი.

ფონდ „სივილიტასს“ ვებგვერდზე (http://www.civilitasfoundation.org/cf/biweekly-perspective/caucasus/160-neighborly-disputes.htmlძ განთავსებული ერთ-ერთი მასალის მიხედვით, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე, ჯავახელი სომხების შეთავაზება, რომ საქართველო გახდეს ფედერაციული სახელმწიფო, ფონდ „სივილიტასს“ „ზომიერად და ლოგიკურად“ მიაჩნია.

ნინო ბურჯანაძის პრესსამსახურის უფროსის ხათუნა ივანიშვილის პასუხი, Presa.ge-ს მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე, ასეთია:

— ქალბატონი ნინო ნამდვილად იყო ფონდ „სივილიტასის“ ბორდის საპატიო წევრი. საპატიო წევრობა ბორდის გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღებას არ გულისხმობს. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ქალბატონი ნინო პარტიის თავმჯდომარე გახდა, მას კანონიერად არ აქვს უფლება, რომ იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში ფონდის ბორდის წევრი. ჩვენ სამწუხაროდ, ამ ფონდის არც საქმიანობისთვის და არც საიტისთვის თვალ-ყური აღარც მიგვიდევნებია.

ახლა ჩვენ აუცილებლად ვაცნობებთ თავად ფონდის პრეზიდენტს, რომ იქნებ ქალბატონი ნინო სიიდან ამოიღონ. სიაში ყოფნის საფუძველი კანონიერად არ არსებობს, არ შეიძლება, რომ ის ბორდის წევრი იყოს.

**— რატომ გახდა ნინო ბურჯანაძე ისეთი ფონდის, თუნდაც ბორდის საპატიო წევრი, რომლის მიზანია სომხეთის როლის განმტკიცება რეგიონში და მსოფლიოში?**

— ფონდის პრეზიდენტთან, ვართან ოსკანიანთან, რომელიც წლების განმავლობაში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ქალბატონ ნინოს, პარლამენტის თავმჯდომარეობისას კონტაქტები ოფიციალურ დონეზე ჰქონდა. შემდეგ, როდესაც ქალბატონმა ნინომ ფონდი დააარსა, მათაც დააარსეს ფონდი. აქედან გამომდინარე, შეთანხმდნენ, რომ ქალბატონი ნინო საპატიო წევრი ყოფილიყო.

რაც შეეხება რეგიონში სომხეთის როლის გაძლიერებას — რეგიონში მნიშვნელოვანია, როგორც სომხეთის, ასევე აზერბაიჯანის და საქართველოს როლის გაძლიერება.

**— რას იტყვით ჯავახეთში მცხოვრები სომხების შეთავაზებაზე (საქართველო გახდეს ფედერაციული სახელმწიფო), რომელიც „სივილიტასს“ მიაჩნია „ზომიერად და ლოგიკურად“?**

— რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინოსთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ზემოთ აღვნიშნე, რომ ჩვენ აღარც მიგვიდევნებია ამ ბოლო გადაწყვეტილებებისთვის თვალი, რაც ქალბატონი ნინო აღარ იყო უკვე ფონდის პრეზიდენტი და გახდა პარტიის თავმჯდომარე.

**ჩვენ ახლა ნამდვილად ვაცნობებთ თვითონ ამ სომხური ფონდის პრეზიდენტსაც, რომ ქალბატონმა ნინომ ბორდის წევრობა უნდა დატოვოს. ანუ, ალბათ, უნდა ამოიღონ სიიდან.**

**ნინო მიქიაშვილი.**

გლობუსი

# დასკვნიდან გამომდინარე ფიქრები

**მოხერხებულმა ქართველობამ, როგორც იქნა, მიაღწია თავისას. აგრესორის ტიტულის მოპოვება იოლი საქმე როდია. მავანი შემედავება — სიტყვა „აგრესორი" დოკუმენტში არ წერიაო. ამასვე აცხადებს იაკობაშვილი, მაგრამ ის, რაც წერია სრულიად გამოხატავს „აგრესორის" მნიშვნელობას. ხელისუფალთა საყვარელ სიტყვებს მოვიშველიებ — პირველად საქართველოში, საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო ის, რაც მისმა წინაპრებმა ვერ ქნეს, მრავალი საუკუნის განმავლობაში. სულ მუდამ თავდამცველ-დაჩაგრულის როლში ხომ არ ვიქნებოდით.**

მე, რომ საქართველოს მეთაური ვყოფილიყავი, ასეც მოვიქცეოდიო, ზურგს უმაგრებს პრეზიდენტს საპარლამენტო „ოპოზიციის" ლიდერი და ისეთ ურთიერთგამომრიცხავ აბრაკადაბრას აყოლებს გაბრიოლინებულ სიტყვებს, დემაგოგის ოსტატ იაკობაშვილსაც, რომ შეშურდებოდა.

ევროკავშირის საგანგებო კომისიის თითქმის ერთწლიანი გამოძიების ნაყოფი გასულ კვირას იხილა მსოფლიო საზოგადოებამ, მათ შორის ცხინვალის ომის მთავარმა შემოქმედებმა საქართველო-რუსეთმა. ორთავე სულმოუთქმელად ელოდა შედეგს. ქართულ მხარეს სტრატეგიული პარტნიორის წყალობით დოკუმენტის სათავისოდ ბის იმედი ჰქონდა. ნაწილობრივ აუხდა კიდევაც, თუმცა იაკობაშვილის მიხედვით „გაზპრომის" მიერ მოსყიდულმა გერმანულმა „შპიგელმა" ზაფხულშივე გვაუწყა, რომ ვერდიქტი მთლად საქართველოს „სათავისოდ" არ იქნებოდა. იაკობაშვილის „მხილება" ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არახალია. ამ სენით ქართველი პოლიტიკოსები და მათი პოლიტოლოგია კარგა ხანია დაავადებულია. მათი განცხადებებით „ჩვენ მართლები" ვართ, „ჩვენ გავიმარჯვეთ". მათდა სამწუხაროდ ეს ოპტიმიზმი არ ემთხვევა დასავლური მასმედიის მოსაზრებას. **ტელეკომპანია „ბიბი-სიმ" ყოველგვარი რევერანსის გარეშე თქვა ის, რაც არის. საქართველო დამარცხდა, მოიგო რუსეთმა.**

ტალიავინის კომისიის დასკვნა მოსწონს ხელისუფლებას. ზოგი უზუსტობის მიუხედავად დოკუმენტი ობიექტურიაო, აცხადებს ის. როგორც ჩანს უფრო კრიტიკულს მოელოდნენ, თუნდაც ცხინვალელთა გენოციდს. აკი აღნიშნა სააკაშვილმა — კომისიას არ დაუფიქსირებია ბავშვებისა და მოხუცების დახოცვაო. **მთლიანობაში დასკვნა საქართველოსთვის ერთობ რბილია, რაც არა მარტო ვაშინგტონ-თბილისის ურთიერთდამოკიდებულებით არის განპირობებული, არამედ ევროკავშირის გალიზიანებული პოლიტიკით რუსეთის მიმართ. რუსეთის ნაცვლად სომხეთი ან აზერბაიჯანი რომ ყოფილიყო საქართველოს ძელზე გასმა არ აცდებოდა. ირიბად აქაც რუსეთმა გვიხსნა.** კომისიამ რუსეთის საწინააღმდეგო ბევრი რამ ჩადო დოკუმენტში, მაგრამ მთავარს ვერაფერი მოუხერხა ანუ ომის დამწყების ვინაობის გვერდის ავლას. რუსეთი კმაყოფილია „ამ მიგნების", რაც ნაკლებმნიშვნელოვანი არ არის. ომის დამწყების ვინაობა ცალსახად დადასტურდა. ორივე ერთად ომს ვერ დაიწყებდა, თუმცა დოკუმენტში შეინიშნება მსგავსი მცდელობა. დოკუმენტის მთავარი მარილი სწორედ ეს არის, დანარჩენი „გარნირია" და ნაკლები სითამამით შეიძლება წაეყენოს მეორე მხარეს. ომის დროს ყველაფერი ხდება — მშვიდობიანი მოსახლეობის კარ-მიდამოს გადაბუგვა, ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა-გლეჯა, ლტოლვილობა და სხვა. კომისიამ აღნიშნა ის, რაც საქართველოს, ბევრმა თუ არა გარკვეულმა ნაწილმა იცოდა.



ტალიავინის კომისიის დასკვნისკენ, მსოფლიო საქმეებში გაუთვითცნობიერებელი საქართველო ტალიავინამდე მიილტვოდა ანუ დამოუკიდებლობის ბოძების პირველსავე დღიდან, და თუ შესაბამისი დასკვნები არ გაკეთდა და მოსალოდნელია სრბოლის საბოლოო დაქცევა-განადგურებამდე გაგრძელება. მედიაში გაკეთებული განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ეს პროცესი გარდაუვალია. ნაცვლად სალი განსჯისა ზოგი იმასაც აცხადებს, რომ შეტევისთვის კარგად უნდა მოვმზადებულიყავითო. „პატრიოტი" ხელისუფლება ასევე „პატრიოტულ" კითხვას სვამს — კარსმომდგარ მტერს არ უნდა შევგებებოდითო?! სამშობლო უნდა დაგვეცვა და ამისთვის გავისროლეთ პირველებმაო. დასკვნის გამოქვეყნებამდე ორი დღით ადრე სააკაშვილმა დეგენერატად მოიხსენია ყველა დასავლელი ვინც საქართველოს ომის დაწყებაში ადანაშაულებდა.

**ლოგიკურად იბადება კითხვა — რაღა მაინცდამაინც 7-8 აგვისტოს წამოუარა ხელისუფლებას პატრიოტულმა მუცლისგვრემამ, როდესაც მთელი მსოფლიო ოლიმპიური თამაშების გახსნის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი და მსოფლიო ლიდერები პეკინში იმყოფებოდნენ? სამშობლოს დაცვა მარტო სააკაშვილის, ბოკერიას, იაკობაშვილის, უგულავას, მერაბიშვილის პრეროგატივაა? სრულიად საქართველომ მათი გადაწყვეტილების შესახებ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლიდან შეიტყო. ხალხი, როგორც ყოველთვის „ოფ საიდში" აღმოჩნდა, ისე, როგორც ეგზოტიკურ კუნძულებზე, საკუთარი ორგანიზმის გასაკაჟებლად მყოფი თავდაცვის მინისტრი.** მაინც რა აუცილებლობას წარმოადგენდა იმ დღეს, იმ წუთს „გრადების" მძინარე ცხინვალისთვის დაყრა, ხოლო შემდეგ იქ ტანკებით შევარდნა?, მით უმეტეს, როდესაც დასკვნიდან გამომდინარე იქ რუსის ჯარი არ იყო? ძნელი, უფრო სწორად შეუძლებელია იმის დადგენა რა ამოძრავებდა სააკაშვილს იმ დროს. ვინ აქეზება მას. დასავლეთში გამოქვეყნებული მოსაზრებიდან გამომდინარე უცხოელ გამქეზებელთა ჯგუფი დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა. **მიუხედავად ამისა, „პატრიოტული" განცხადება — შემოჭრილი მტრის შესაკავებლად გავისროლეთო, ხელმოცარული არგუმენტია. „შემკავებელმა" ცხინვალი რუსეთის არმიის შესვლისთანავე მიატოვა და სპრინტერული სირბილით დღენახევარში იგოეთთან აღმოჩნდა. აღარც ჯარი ახსოვდა ვინმეს და აღარც რეზერვისტები. უპატრონოდ მიტოვებულმა ამ უკანასკნელმა რის ვაივაგლახით ჩამოაღწია თბილისს.** დღენახევრიანი „პატრიოტიზმისთვის" ვიკლავდით თავს? როგორც ჩანს არც დასავლელი წამქეზებელნი და არც საქართველოს ხელისუფალნი არ ელოდნენ რუსთა ელვისებურ პასუხს, რაც თავისთავად მეტყველებს მათ პოლიტიკურ სიბეცეზე. ჭირს გაიზიარო მოსაზრება ომისათვის სერიოზულ მზადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან წინასწარ უნდა იცოდე თუ ვის ეომო, ვის დამარცხებას შეძლებ. რუსეთთან საქართველოს ომი დონკიხოტობაა. რუსეთის წინააღმდეგ ომი გასულ საუკუნეში მხოლოდ კბილებამდე შეიარაღებულმა და გაწვრთნილმა ფაშისტურმა არმიამ გაბედა, თუმცა რით დამთავრდა ყველასთვის ცნობილია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინს ჰკითხეს, თუ ვინ არის საუკეთესო მეომარი — რუსი, გერმანელი და პოლონელიო, მიუგო მან. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. შეიცვალა ვითარება, მაგრამ ისე არა, რომ კბილებამდე შეიარაღებული რუსეთი საქართველოს ხელწამოსაკრავი გამხდარიყო. გამოდის, რომ რუსეთთან ომით ვერაფერს გავხდებოდით, ვერ წავგლეჯდით მას ტერიტორიებს როსტოვის ჩათვლით. მავანი მკითხავს — გვეყურებინა, როგორ დაგვიპყრობდნენო? ჯერ ერთი დაპყრობა, რომ ნდომოდა წინ ვერაფერი დაუდგებოდა და მეორეც ასეთ დაწყებას არდაწყება სჯობდა. და კიდევ ერთი რამ. სრული დაპყრობის შემთხვევაში მსოფლიოს უდიდესი შანსი გაუჩნდებოდა ნამდვილად ებრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ. ქართულმა აგრესიამ ეს შესაძლებლობა გამოაცალა ხელიდან. და რასაც დღეს ამბობს, ცალყბად ამბობს, სიტყვისთვის და არა საქმისთვის.

**საერთაშორისო პოლიტიკა ნაკლებად ჰგავს იმ „გულჩვილ" თბილისელს, ვინც პოლციადადევნებულ ქურდს გულშემატკივრობს. საერთაშორისო სარბიელზე სხვა თამაშია.**

საქართველოს სამივე ხელისუფალმა ყველა ღონე იხმარა ევროკავშირის დასკვნაში მოსახვედრად ცხინვალში თბილისელთა მიტინგით დაწყებული, აფხაზეთში შევარდნით გაგრძელებული და 7-8 აგვისტოთი დამთავრებული. აფხაზეთის ომი კიტოვანმა დაიწყოო, ამბობს მაშინდელი სახელმწიფოს მეთაური. დავუშვათ ასეა, რა გააკეთა მან ნაცვლად შეჩერებისა, სამხედრო ფორმა ჩაიცვა და სოხუმში დაიდო შტაბ-ბინა, იმდენ ხანს იომა, ვიდრე დამარცხებული არ გამოაგდეს. სად იყო საზოგადოება? დამარცხებულ მთავარსარდალს უზენაესი საბჭო ოვაციით შეხვდა, რუსთაველის პროსპექტზე დაუჩოქა. იყვნენ ისეთები, რომლებიც მჭმუნვარებამოძალებულ სულს საამიროებში ვაჭრობით იქარვებდა. მას სულაც არ აინტერესებდა მტყუან-მართლის დადგენა, შესაბამისი დასკვნების გამოტანა. ვიდრე ასე იქნება არაფერი გვეშველება. საზოგადოება 7-8 აგვისტოს შემდეგაც „მოწოდების სიმაღლეზე" აღმოჩნდა. 12 აგვისტოს, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილებმა „მიშა", „მიშას" ძახილით და ცეკვა-თამაშით გაამხნევეს ახლა უკვე სხვა მთავარსარდალი. განვლილ ხანმოკლე ისტორიულ პერიოდში შეიცვალნენ მთავარსარდლები. ხალხი კი არ შეცვლილა.

**ტალიავინის დასკვნა დელიკატურ კითხვებსაც აჩენს — უნდა ევროპას აგრესორი? უნდა ნატოს თავის რიგებში გაუწონასწორებელი, უპასუხისმგებლო პარტნიორი ? რბილი დასკვნის მიუხედავად ევროპა, სერიოზულად იფიქრებს საქართველოზე. რას მოიმოქმედებს აშშ? ხელისუფალთა გულგასამაგრებლად იქ ისეთებიც არიან, ვინც დღესაც თავგამოდებით უჭერენ მხარს სააკაშვილს, სამომავლო გრანდიოზულ გეგმებსაც ქსოვენ, ისეთს, როგორიცაა 2015 წლისათვის საქართველოში სამი ამერიკული სამხედრო ბაზის გახსნა. 2015 წლისათვის მათი აზრით, აღარც ობამა იქნება და რუსეთთანაც აღდგება კონფრონტაციული ურთიერთობა. ასე რომ, უახლოეს მომავალში ერთი რუსული ბაზის ნაცვლად 3 რუსულ სამხედრო ბაზას და 3 ამერიკულს მივიღებთ ერთი ციდა 69.000 კვ. კილომეტრზე.** ამერიკულ სამხედრო ბაზებს რუსულმა „ნეზავისიმაია გაზეტამ" პირველ გვერდზევე სააკაშვილ-კლინტონის ფოტოსთან ერთად სტატიაც მიუძღვნა, რომელშიც აღნიშნა, რომ მოლაპარაკების დროს ეს საკითხიც განიხილეს. თითქოს ამ პროგრამას რესპუბლიკელები და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჩეინი ლობირებს. ძველი თუ ახალი ქართველი პოლიტიკოსების მიხედვით საქართველოს ხსნა მხოლოდ ამერიკული ბაზების გახსნაშია. ყოფილი პრემიერი სიგუა ამაზე ოცნებით აღამებს და ათენებს. ისინი თუ გადაგვარჩენენო, როგორც ჩანს დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს თავისუფლებას. სხვისი სამხედრო ბაზის მნატრებელი ადამიანი და ქვეყანა იმის ღირსია, რასაც მონობა ჰქვია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

არ დაივიწყოთ, არ დაივიწყოთ...

# შეხსენება პრეზიდენტს

**ტელეკომპანია „მაესტროს" სარეკლამო რგოლში წარამარა მოისმენთ პრეზიდენტ სააკაშვილის გულსა და სულში ჩამწვდომ სიტყვებს: საქართველოში არავის აქვს უფლება ჟურნალისტი დააპატიმროს და პირადად არც მე ვინმეს დავატერორებინებ! ზუსტად ამ სიტყვებით — „არ დავატერორებინებ", — გვამხნევებს პრეზიდენტი ჟურნალისტებს.**

ეტყობა, ამავე სიტყვებმა გაამხნევა თავად ტელეკომპანია „მაესტროს" ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი, როცა პრეზიდენტ სააკაშვილს ღია წერილით მიმართა.

**„შეგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, ნათქვამია მასში, ეს ის ტელეკომპანიაა, რომელსაც ლიცენზიას არ აძლევდით ხანგრძლივი დროის განმავლობაში; შეგახსენებთ, ეს ის ტელეკომპანიაა, რომლის ჟურნალისტებიც არაერთხელ დაარბიეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა; შეგახსენებთ, ეს ის ტელეკომპანიაა, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ დაუმტვრიეს და წაართვეს აპარატურა; შეგახსენებთ, ეს ის ტელეკომპანიაა, რომლის ოფისიც აფეთქეს და ეს ფაქტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ შენობის განზრახ დაზიანების მუხლით დააკვალიფიცირა; შეგახსენებთ, რომ არც ერთი ძალადობის ფაქტი, რომელიც ჩადენილია „მაესტროს" მიმართ, გამოძიებული არ არის; შეგახსენებთ, ეს ის ტელეკომპანიაა, რომლის მაუწყებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ხელისუფლების მიერ იკრძალება".**

შეგახსენებთ, შეგახსენებთ... პირდაპირ აიკლო შეხსენებებით ჩემმა კოლეგამ, ბატონმა მამუკა ღლონტმა მისი აღმატებულება, პრეზიდენტი სააკაშვილი, არადა ბატონმა პრეზიდენტმა ამ ორიოდე დღის წინათ საქვეყნოდ და გამჭვირვალედ (ეს სიტყვა გამორჩეულად უყვარს ქვეყნის თავკაცს) განაცხადა: გავიგონე ყველაფერი, რაც გასაგები იყო, დავიხსენი, ყველაფერი, რაც დასახსნი იყო.

ვერაფერს იტყვი, გაგებული, ყველაფრის დამხსნელი და გულმოწყალე პრეზიდენტი გვყავს, „მაესტროს" თავკაცს კი უნდა ქვეყნის პირველ პირს „ანა-ბანა" თავიდან დაუწყებინოს, ყველაფერი გაახსენოს და, თუ საჭირო გახდა, ჭკუაც დაარიგოს.



არაფერი გამოგივა, ძმაო! კაცი, რომელმაც რუსული მონსტრი მთელი მსოფლიოს თვალწინ თავგზაბნეული აწრუწუნა, ზუგდიდისი, რომელიღაც ტელეარხის ხელმძღვანელს წარამარა შეხსენებებით თავს არ „დაატერორებინებს"!!!

**ოთარ ხუციშვილი**

## ხედვა ოკეანის გაღმიდან

**— გადასახლებიდან ჩეჩნეთში დაბრუნებულები როგორ ცხოვრობენ?**

— 1944-ში აზიაში დეპორტირებული ჩეჩნების საცხოვრებელი ადგილები რუსებმა დაიკავეს, ხოლო როცა ჩეჩნები დაბრუნდნენ, ისინი ლამის 20 წელიწადი მშობლიური სახლების გამოსყიდვას მოუნდნენ. ზოგიერთი დღესაც გამოსყიდვის პროცესშია, მხოლოდ იმისთვის, რომ კვლავ დაისაკუთრონ იმ მიწის ნაგლეჯი, რომელიც ოდესღაც მათ ეკუთვნოდათ. ეს უბედური მიწა ისეა გადატრიალებული, ერთი უსისხლო მილიმეტრიც კი აღარსადაა. ჩეჩნები „მიწიერი" ხალხი ვართ, გვიყვარს ჩვენი საგვარეულო, საფლავები. ის, ვინც მე ჩემი წინაპრების მიწას წამართმევს, თავს მოვაკვლევინებ, მაგრამ არ მივცემ.

**— ის ამ მიწას მაინც გართმევს, ასეც და ისეც. ამბის გამტანი ჩეჩენიც აღარ უნდა გადარჩეს?..**

— უფესვო ადამიანი უფესვო ხეა. მას არ შეუძლია თავისი ისტორიის გარეშე. მიწა კი ისტორიაა. როცა მე აქ ლამაზ ყვავილნარს ვხედავ, იმაზე ვოცნებობ, რომ ჩეჩნეთში ასეთს აუცილებლად დავრგავ.

**— თუ დაბრუნდები, ამგვარ ყვავილნარს შენს საფლავზე გააშენებენ...**

— მართალი ხარ. მე რომ იქ დავრჩენილიყავი, ჩემს საფლავზე უკვე ხის სიმაღლის ბალახი იქნებოდა ამოსული. რუსეთის იმპერიის ინტერნაციონალიზმი ნამდვილი ფიქციაა. აი, თუნდაც ავიღოთ ავღანელი ლტოლვილები, რომლებიც სსრკ-მა დიდის გულითადობით მიიწვია იმის საჩვენებლად, რომ ავღანეთზე ძალიან ზრუნავს. მოსკოვის გარეუბანში კი მათთვის გეტო შექმნეს და ცხოველებივით აცხოვრებენ. მხოლოდ ერთადერთი რამ — ვაჭრობა შეუძლიათ, მაგრამ ბაზრებიდანაც კი აგდებენ, საარსებო საშუალებას უსპობენ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც სსრკ-მა ლტოლვილის სტატუსი მისცა, რათა მსოფლიო თანამეგობრობისთვის ეჩვენებინა, რომ ინტერნაციონალური სახელმწიფოა. ავღანეთშიც „ძმური" დახმარების ხელის გაწოდების საბაბით არ შეიჭრნენ?

**— ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომის დროს ძალიან ხშირად ყველაზე გააფთრებული ბრძოლა გროზნოსთან ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტ ბამუტთან იმართებოდა. რა იყო იქ ასეთი მნიშვნელოვანი?**

— იქ იყო განლაგებული რუსული არმიის საიდუმლო სარაკეტო დანაყოფი. ბამუტის გამო რუსეთმა საკუთარი ჯარის ნახევარი გაწყვიტა. დაღუპული ჩეჩნების 25 პროცენტი კი იქ დასამარდა. ბამუტი არის მელოტი მთა, სადაც რუსების საიდუმლო ჯარი იდგა და იქ ჩეჩნები და რუსები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ ერთმანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბამუტი რუსებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია იყო. იმ მთაზე არც ბალახი, არც ხე იზრდებოდა და უცნაური რაღაცეებიც ხდებოდა. ჯოხარ დუდაევის დროს ბამუტის „ფენომენის" შესასწავლად საერთაშორისო კომისიაც კი შეიქმნა. არ ვიცი, რა დაადგინეს. ამბობენ, რუსები, როცა გადიოდნენ, იქ დიდძალი იარაღი დატოვესო. ეს არის ბლეფი. კი არ დატოვეს, არამედ — გაყიდეს! დატოვეს თვალსაჩინოება და უნიფორმა. მაგრამ უნიფორმა მოწამლული იყო. ვინც მას ეხებოდა, თმები, წამწამები და ფრჩხილები სცვიოდა, ფხანა ეწყებოდათ და უცნაური დაავადებებით ავადდებოდნენ, მათ შორის ბავშვებიც. დღემდე ვერავინ ვერაფერი გაიგო.

**— ატომური ნარჩენები ხომ არ იყო? ჩეჩნეთის მიწას ხომ ატომური ნარჩენებისთვის იყენებდნენ... იქნებ იტალიელ ჟურნალისტ ანტონიო რუსოს ინფორმაცია სწორედ ამის შესახებ ჰქონდა და იმიტომაც მოკლეს?**

— არ ვიცი. ეს იყო აკრძალული, დახურული საომარი ნაწილი და სავსებით შესაძლებელია, რომ ასეც იყო. მერე ეს მთა ააფეთქეს და ჩაძირეს. თუ იქ საიდუმლო ქარხანა იყო, სხვაგან რატომ არ იყო? რატომ იყო გროზნოსთან ასე ახლოს? ჩეჩნეთის ომებამდე ბამუტსა და მის ახლოს, 17 000 კვადრატულ კმ.-ზე ლამის მთელი რუსეთის საჯარისო შენაერთი მდებარეობდა. იმიტომ, რომ

# ანტონიო რუსო, ანა პოლიტკოვსკაია, ალექსანდრე ლიტვინენკო, ნატალია ესტემიროვა...

ეს ძალები ჩეჩნების წინააღმდეგობის ჩასახშობად ჯერ კიდევ ომების დაწყებამდე გაცილებით ადრე ემზადებოდნენ.

ერთხელ რუზველტს დაზვერვამ მოახსენა, რომ რუსეთი კავკასიიდან პატარა ერების გადასახლებას აპირებდა. რუზველტმა სტალინს ჰკითხა, რატომ აკეთებ ამასო. მან კი უპასუხა, ჩვენ გვინდა ეს ხალხი უფრო უსაფრთხო ადგილას გადავიყვანოთ, რათა მათ კულტურული თვითმყოფადობა შევუნარჩუნოთო (?!ძ. აი, როგორ „ზრუნავდა" რუსეთი ჩვენზე. ანდა XIX საუკუნის შუახანებში როგორ აღმოჩნდნენ ჩეჩნები თურქეთში? მოსკოვიდან ჩეჩნეთში შიკრიკებს თითქოსდა თურქი ხანების მოწოდებიანი ყალბი წერილებით აგზავნიდნენ: ჩვენო ძვირფასო მუსულმანო ძმებო, რუსეთმა თქვენ გაგანადგურათ, თქვენ არაფერი გაქვთ, ჩვენ კი მიწას მოგცემთ, ოღონდაც ჩამოდით, ჩვენ პატივს გცემთ იმის გამო, რომ რუსეთს არ ნებდებით, ჩამოდით. ჩეჩნებიც თურქეთისკენ ქარავნებით დაიძრნენ, რადგან რუსეთის უღელქვეშ არსებობა მართლაც აუტანელი იყო. ასე მიმოვიფანტეთ მთელს მსოფლიოში...

* * *

ალექსანდრე ლიტვინენკოს რუსეთიდან ბრიტანეთში გაქცევაში ამერიკელი ალექს გოლდფარბი დაეხმარა. KGB-ს ყოფილი ოფიცრის მკვლელობის შემდეგ ლიტვინენკოს ქვრივმა მარინა ლიტვინენკომ და გოლდფარბმა წიგნი „დისიდენტის სიკვდილი" გამოუშვეს. რუსეთიდან დასავლეთში გაქცეული ჩეკისტ-ჯაშუშების რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია. ყველაზე ტიტულოვანი, ალბათ, ოლეგ გორდიევსკია. ლონდონში სსრკ-ს საელჩოში კი მუშაობდა, მაგრამ ბრიტანეთის დაზვერვას ემსახურებოდა. ნისლიან ალბიონზე გაწეული სამსახურისთვის იგი ჯერ მარგარეტ ტეტჩერმა დააჯილდოვა ორდენით, მოგვიანებით კი ინგლისის დედოფალ ელისაბედ II-სგან წმინდა მიხეილისა და წმინდა გიორგის ორდენიც მიიღო. ცივი ომის რუსმა ჯაშუშ-მემატიანემ წიგნიც („შემდეგი გაჩერება — დახვრეტა"ძ დაწერა, რომელიც სამშობლოშიც გამოვიდა ანუ იქ, სადაც მას 1980-იან წლებში სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

**— რუსული რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტმა გორდიევსკის „მოღალატე" უწოდა. გორდიევსკი მოღალატეა?** — ვკითხე ალექს გოლდფარბს. ჩვენი საუბარი ლიტვინენკოს გარდა სააკაშვილისა და პატარკაციშვილის ურთიერთობასაც შეეხო.

— ბრიტანეთისთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. მეკითხებით ვინაა გმირი და ვინ მოღალატე? თუ თქვენ თამაშის დროს ერთ საფეხბურთო გუნდს გულშემატკივრობთ, რასაკ-



ალექსანდრე ლიტვინენკო

ვირველია, სხვა გუნდს ვერ მიემხრობით და თუ თქვენ ნეიტრალური ხართ ე.ი. არც კი იცით, რაა ფეხბურთი. საგულშემატკივრო გუნდი თამაშის დაწყებამდე არჩეული უნდა გქონდეთ. ისინი, ვინც მაშინ სსრკ-ს ებრძოდნენ, გმირები იყვნენ. ფაქტია, რომ ოლეგს „მოღალატეობა" დაუფასდა. გორდიევსკის რეიგანი და სხვა პოლიტიკური ფიგურები პატივისცემით ხვდებოდნენ. ოლეგს დამსახურება სამეფო კარისადმიც ჰქონდა და დაუფასეს კიდეც.

**— ვინ დარჩა საპოლონიუმო?..**

— ინგლისში პუტინის სამი ძირითადი მტერი იყო: ზაკაევი, ბერეზოვსკი და ლიტვინენკო. სამივე პუტინის პირადი, ძალიან გამაღიზიანებელი მტერია. პუტინს ბერეზოვსკის გვარის გაგონებაზე ისევ ელეთ-მელეთი ემართება. ლიტვინენკო უკვე მოკლა, ზაკაევისა და ბერეზოვსკის ექსტრადიციის მოთხოვნას კი მაინც წამოიძახებს ხოლმე. ეს ორი პიროვნება მისთვის „პოლიტიკურად მტკივნეული" წყვილია. პუტინმა თავის გარშემო პიროვნების მძლავრი კულტი შექმნა, ამ დროს კი ორი დარჩენილი „მოსაკლავი" ვერ მოუშორებია, არადა ის ხომ ყველაზე დიდია, იგი ხომ G8-ის, კიდევ რაღაც კლუბების წევრია, გერმანიის ძველი კანცლერი ლაქიასავით ემსახურებოდა და ამ დროს კი მტრების სამეულიდან მხოლოდ ერთის მოკვლა მოახერხა. დარჩა ორი.

**— რატომ მაინცდამაინც ლიტვინენკო?**

— სულ სამი იყო. ასეთივე წარმატებით ზაკაევსაც ან ბერეზოვსკისაც მოკლავდა.

— ბერეზოვსკი ჩეჩნეთში იარაღის ბიზნესით იყოო დაკავებული, პოლ ხლებნიკოვი ამაზე წერდაო...

— რასაკვირველია, ბერეზოვსკი ანგელოზი არაა და იგი 1990-იან წლებში პუტინის წრის ნაწილი იყო. მერე პუტინს გაექცა და ახლა პუტინს მისი დაჭერა უნდა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ ვინმეს პოლონიუმი უნდა „გამოუწეროს". ბერეზოვსკის ჩეჩნეთში იარაღი არასოდეს გაუყიდა. ეს ასე რომ ყოფილიყო, ინგლისელები მას დიდი ხნის წინათ ციხეში ჩასვამდნენ. როცა იგი ელცინის ადმინისტრაციის თანამშრომელი გახლდათ, მას ჩეჩნეთი ებარა, რუსეთის უშიშროების საბჭოში მთავარი ფიგურა გახლდათ, 1996-97-ში კი კრემლში მუშაობდა. მიდის KGB-ს მიერ დაგეგმილი შავი პიარი, რომელიც იმისთვისაა გამიზნული, რომ პუტინს ბერეზოვსკი ლანგარზე მიართვან. რაც შეეხება საქართველოს: ბადრისა და სააკაშვილს შორის ურთიერთობის გაგრძელება იყო ის, რაც ბერეზოვსკისა და სააკაშვილს შორის ხდებოდა. ბერეზოვსკი აგრძელებდა იმას, რასაც აკეთებდა ბადრი, მაგრამ გაცილებით სუსტი ძალებით, ძალიან უმნიშვნელოდ. ბერეზოვსკის საქართველოში არანაირი ინტერესი აქვს, მაგრამ ბადრის სიკვდილის გამო იგი, გარკვეულწილად, ქონების გადანაწილების საქმეში იყო ჩართული.

**— როგორ ფიქრობთ, ლიტვინენკოს საქმის გამოძიება ბოლოს და ბოლოს, როგორ დასრულდება?**

— არავინ იცის. ლონდონიდან რუსი დიპლომატები გააძევეს და ბრიტანეთი ანდრეი ლუგავოის გადაცემას კვლავ ითხოვს; სანქციები, რომელიც ინგლისელებმა რუსეთის წინააღმდეგ შემოიღეს, მოქმედებს. ინგლისი რუსი ჩინოვნიკებისათვის ტურისტულ ვიზებს ისევ გასცემს, როგორც ადრე, მაგრამ შეიზღუდა სამსახურებრივი ვიზების გაცემა. თავის მხრივ კი, რუსეთი „ბრიტანული საბჭოსა" და British Petrolium-ს „ჩაუსაფრთდა". ჩიხური სიტუაციაა: ინგლისელები ლუგავოის გადაცემას ითხოვენ, რუსეთი კი უარზეა. ამ საქმემ ამერიკაშიც გადაინაცვლა: 2008 ის გაზაფხულზე ამერიკის კონგრესმა ლიტვინენკოს საქმესთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო.

**— რამდენად ეფექტიანია ამგვარი სანქციები?**

— ეკონომიკური სანქციები არ იქნება, რადგანაც საუბარია პოლიტიკურ საკითხებზე. ლიტვინენკოს მკვლელობა რუსეთის, აფხაზეთის, კოსოვოსა და ირანის თემებთან ერთად „დასავლეთსა" და „აღმოსავლეთს" შორის დიალოგის თემაა. მას გადაწყვეტს ის, ვინც დასავლეთში მთავარი ფიგურაა.

**— მედვედევს პუტინისგან ბერეზოვკისადმი სიძულვილი ესტაფეტად გადაეცა?**

— ვერაფერს ვერ იზამ, ღმერთსაც კი არ შეუძლია ამის შეჩერება. თუ სახელმწიფომ გადაწყვიტა ადამიანის განადგურება, მსხვერპლის საქმე გათავებულია. ლიტვინენკოს მკვლელობა იყო სახელმწიფო მკვლელობა და ეს მკვლელობა არის მნიშვნელოვანი არგუმენტი, რათა რუსეთი „დიდი რვიანიდან" გააგდონ.

**— რატომ აღარაა ჩეჩნეთის თემა დასავლეთის თვალსაწიერში?**

— რუსეთმა ჩეჩნეთი დაამარცხა, დასავლეთმა კი ეს უბედური ხალხი ბედის ანაბარა მიატოვა, ხოლო თავად ჩეჩნები 3 ნაწილად გაიყვნენ. ნაწილი მოსკოვთან თანამშრომლობაზე წავიდა. კადიროვი და მისი „კომპანია" ხომ ადრე სეპარატისტები იყვნენ და მერე მოსკოვის მხარე დაიჭირეს. მეორე ნაწილი ტერორისტობასა და ექსტრემიზმში (მაგალითად, ბასაევიძ გადავარდა. ჩეჩნების მცირე ნაწილი, რომელთა ასევე პატარა ნაწილი დასავლეთშია, თავისი პირვანდელი იდეის — დემოკრატიული და დამოუკიდებელი ჩეჩნეთის მომხრეა, მაგრამ მათ მხარდაჭერა არა აქვთ. ვინც კადიროვს ეწინააღმდეგება, მთებსა და ტყეებშია და მათ აუცილებლად გაანადგურებენ. რუსეთი დიდია, ჩეჩნეთი — პატარა. რადგანაც ამ ომმა სერიოზული მასშტაბი არ მიიღო, ეს დასავლელ საზოგადოებას არ აღელვებს. 6 წლის წინათ ამერიკამ და ევროპამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ჩეჩნეთი რუსეთთან ბუტიაობად არ ღირს. საქართველოს გამო კიდევ, ჰა და ჰა, შეიძლება. საქართველო ჩეჩნეთზე დიდია. ჩეჩნეთს დასავლეთში უნდოდა ყოფნა, მაგრამ დასავლეთმა გადაწყვიტა, რომ ჩეჩნეთი პუტინს უნდა გადასცეს. „ხდება" ხოლმე...

**— რუსეთისა და დასავლეთის „ჰარმონიულ" თანაარსებობას „მცირედი გაუგებრობები" — მკვლელობები ხელს არ უშლის?**

— იანდარბიევი, პოლიტკოვსკაია, შეკოჩიხინი კრემლიდან მოკლეს. იქედანვე წამოვიდა იუშჩენკოს მკვლელობის ბრძანებაც. კრემლი კვლავ გააგრძელებს ამას. დასავლეთი ფიქრობს, სტალინის დროს მკვლელობები ხომ მეტი იყო, ახლა ხომ ნაკლებიაო. ოლეგ გორდიევსკის მოწამვლაც უნდოდათ. საქართველოშიც კინაღამ იგივე გათამაშდა. ვანო მერაბიშვილი ერთ ჩეჩენს ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას უკვეთავდა. ეს იყო 2006 წლის ივნისში, მერაბიშვილის ერთ-ერთი თანამშრომელი გია დგებუაძე სტუმრად ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ჩავიდა და ჩეჩენ ბოევიკ უვაის ახმადოვს მერაბიშვილის სახელით შეხვდა. დიდი ფულის საშუალებით დგებუაძეს ახმადოვის გადაბირება უნდოდა, რათა მას ბადრი პატარკაციშვილზე თავდასხმა მოეწყო. ეს ის პერიოდია, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამო სკანდალი ჯერ არ იყო ჩამცხრალი. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვშიც არ იყო ხალხი, ვისაც ბადრის სიკვდილი აწყობდა, მაგალითად, პუტინი. თუ პუტინი ამას არ გააკეთებდა, მაშინ — მერაბიშვილი. თუ მერაბიშვილი — არა, მაშინ — პუტინი.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი**

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 204.**

## ინფორმაცია

# პოლიტკოვსკაიას მკვლელებს დღესაც ეძებენ

**ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობიდან 3 წელი გავიდა. „ნოვაია გაზეტას" მიმომხილველი 2006 წლის 7 ოქტომბერს, მოსკოვში, საკუთარ სახლის სადარბაზოსთან მოკლეს.**

**მისი მკვლელობის ძირითადი ვერსია ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას უკავშირებდა.**

**პოლიტკოვსკაიას განსაკუთრებული პოპულარობა ჩეჩნეთსა და ჩრდილოეთ-კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე მისმა პუბლიკაციებმა მოუტანა.**

**გამოძიება დანაშაულში მთავარ ეჭვმიტანილად რუსტამ მახმუდოვს მიიჩნევს, რომელზეც ძებნა დღესაც გრძელდება. საქმეში ასევე ფიგურირებენ დაუდგენელი პირები.**

**პოლიტკოვსკაიას გარდაცვალების სამი წლის თავზე რიგ მედია-საშუალებებში გამოჩნდა პუბლიკაციები იმის შესახებ, რომ დანაშაულში, სავარაუდოდ, მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი ოლეგ შოშინი და ბიზნესმენი ჩერნოვე ოღლი არიან ჩართულნი, რომლებიც მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ერთ-ერთ მთავარ მოწმესთან დიმიტრი პალუჩენკოსთან და აზერბაიჯანისა და დაღესტნის ოთხ მოქალაქესთან სეიმურ ისაზადესთან, მურად აბდულაზიზოვთან, ხიზრი ალიევთან და ასლანბეგ ბიზაევთან.**

**ამჟამად ყველა აღნიშნული პიროვნება დაკავებულია მოსკოვში ჩადენილი რიგი სერიული მკვლელობების გამო**

ჯი-ეიჩ-ენი

### როცა მართალი კაცი სამართალს ეძებს,

# საქართველოს და ქალაქ ზუგდიდის პოლიციელებს!



## ვლადიმერ ვახანია: ხალხის აწიოკებით და უკანონო დაჭერებით სახელს ვერ მოიხვეჭთ!

**ბატონო პოლიციელებო!** მოგმართავთ ყველას, მაგრამ პატივი უნდა დავდო ჩემი საქმის გამყალბებელ პოლიციელებს – **მერაბ შენგელიას, ლევან დარასელიას, ლევან კანკიას, პაატა დარასელიას, თემურ თორიას, მეგის ქარდავას, ქელბაქიანს და სხვა მონაწილეებს,** – თქვენ ნაკლებად დაცული ხართ, ვიდრე თქვენი დამკვეთები. გეკითხებით, გიხარიათ რაც გააკეთეთ? თუ იცით რატომ და რისთვის ჩაიდინეთ ეს ბოროტება? უკანონოდ მიღებული ბრძანება პროკურატურიდან **(დ. ხვიტიასგან)** თუ სხვა უწყებიდან, თქვენ პრაქტიკულად შეასრულეთ ისე უხეშად, რომ თქვენი გაყალბებების კვალი ღიად ჩანს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც თქვენ ჩაუდეთ იარაღი, გაუყალბეთ ყველა დოკუმენტი, ხელმოწერები, საშინლად იცრუეთ სასამართლოში, ეს არ იკმარეთ, 6 თვე დასდევდით და დღემდე დასდევთ ჩემს სამართლიან მოწმეებს, ორი მათგანი უკანონოდ ჩასვით ციხეში. ყოველმა თქვენთაგანმა ხომ იცის რაც გააკეთა? რატომ გიხარიათ ასეთი ცხოვრება, ბატონო წესრიგის და კანონის „დამცველებო“?

თქვენ თუ იცით, რომ მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ჯერჯერობით თქვენ გადაგარჩინათ პასუხისმგებლობისგან, მაგრამ ხვალ – არ ვიცი რა იქნება, ჩემზე ალბათ ბევრი რამ არ იქნება დამოკიდებული. მე რომ არ განმეცხადებინა სასამართლოს პირველსავე სხდომაზე და შემდეგაც, პროკურორ **დიტო ხვიტიას** დანაშაულებრივ ქმედებებზე, თქვენ პრაქტიკულად ყველა (**შენგელია** პირველ რიგშიძ მის მიერ „ჩაშვებული“ იქნებოდით და „საჩვენებლად“ დაისჯებოდით.

ბატონებო!, მხოლოდ ჩემი „დამსახურებით“ პროკურორი **დიმიტრი ხვიტია** და მასთან ერთად მოსამართლე **დავით კეკენაძე** იძულებული გახდნენ მიეღოთ ზომები თქვენს მოსამზადებლად და დასაცავად. **(SIC! მაინც ცუდად მოგამზადეს, არასათანადო ვერსია მოიგონეს).**

**ერთი სიტყვით, დღეს თქვენ ერთ ნავში სხედხართ.**

აგიხსნით, როცა პროკურორმა ხვიტიამ დაინახა ჩემი დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე და თქვენზე შეჩერდა, მას უნდოდა თქვენს მიერ შეთითხნილი საქმის „გამართვა“ და თვითონაც ჩაიდინა დანაშაული, როცა თქვენს მიერ ჩადებული იარაღის „გასაფორმებლად“ 17 მარტს (რაც დაუშვებელია) ხელი მოაწერა ადვოკატების დასწრებით დალუქვის და ამოღების ოქმს. მაგრად შეეშალა, ალბათ, იმდენად დიდი იყო დავალება ჩემი იზოლაციისა, რომ დაივიწყა კანონიც და სამართალიც. ამიტომ, ბატონებო, ზუგდიდის პოლიციელებო, ნუ გეშინიათ, თქვენმა პროკურორმა დიტო ხვიტიამ თვითონ ჩაიდინა დანაშაული, ამიტომ ჩემი „საქმის“ შეთითხვნაში ის არის თანამონაწილე და უკვე მთელი სამეგრელოს პოლიციას იგი ყურებით გყავთ დაჭერილი.

ქ. ზუგდიდის პროკურორის მოადგილემ **დიტო ხვიტიამ** ჩაიდინა და დაფარა მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედება; პროცესუალური დოკუმენტების გაყალბება, უკანონო ჩხრეკა და ა.შ. ასე რომ, ბატონო პოლიციელებო, თქვენ ხართ თანამონაწილენი დანაშაულისა, დამნაშავე ჯგუფი. უფრო მეტიც, ეს საქმე არის შეთანხმებული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე **დავით კეკენაძესთან** და უკვე ისიც არის თქვენი ჯგუფის თანამონაწილე. ყველა დარღვევა და გაყალბება-შეთითხვნა, რომელიც პროკურორმა დიტო ხვიტიამ მიაწოდა თავის შუამდგომლობაში მოსამართლე დავით კეკენაძეს, მან უყოყმანოდ დაამტკიცა აშკარა უკანონო ჩხრეკა, ისევე როგორც სხვა უკანონო მოქმედებები მან სცნო კანონიერად. ერთი სიტყვით, პროკურორმა ხვიტიამ და მოსამართლე დ. კეკენაძემ „გაგიპრავათ“ თქვენ უკანონობა. **მე არა ვარ თქვენი მტერი, თქვენ თვითონ მტრობთ საკუთარ თავს ასეთი უკანონო მოქმედებებით. ყოველ შემთხვევაში, მე მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ თქვენზე მეტი დანაშაული ჩაიდინეს პროკურორმა დ. ხვიტიამ და მოსამართლემ დ. კეკენაძემ.**

* * *

ორიოდე სიტყვით მივმართავ ზუგდიდელებს. ჩემო ძვირფასებო! სამეგრელოში მოქმედი საპოლიციო-საპროკურატურო-სასამართლო ბანდა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, საშიშია, უფრთხილდით. მათთან სიახლოვეც კი წარმოადგენს საშიშროებას. მაგრამ, ნუ შეშინდებით, ბანდიტებს თქვენი უნდა ეშინოდეთ. ვფიქრობ მათ მიაქცევს ყურადღებას სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი ბატონი **როლანდ ახალაია.** დაუშვებელია, რომ ასეთი რამე ხდებოდეს მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

**მივმართავ მთელი საქართველოს პოლიციელებს. თქვენს ქალაქებშიც არის ასეთი პრაქტიკა? თქვენც უტიფრად უდებთ მოსახლეობას იარაღს? თქვენც ჯგუფურად აყალბებთ საქმეებს? თქვენც ჩამოაყალიბეთ მყარი დანაშაულებრივი ჯგუფი? – თავად უპასუხეთ.**

ფაქტების და მტკიცებულებების გარეშე მე არ ვლაპარაკობ. ყველას უნდა ახსოვდეს, ასეთი მსახურებით, ხალხის აწიოკებით და უკანონო დაჭერებით სახელს ვერ მოიხვეჭთ. მინდა გთხოვოთ, ძალაუფლება არ გამოიყენოთ ბოროტად, ხალხის წინააღმდეგ. როცა ღებულობთ უკანონო ბრძანებას, მაინც დაფიქრდით: ასეთი შეიძლება გადახდეს თქვენი ოჯახის წევრებსაც, თქვენ მოგიწევთ ცხოვრება შიშის ქვეშ, ეს კი ნამდვილად არ ღირს.

# ცოდვას ნუ სჩადიხართ!

## საქართველოს და სამეგრელოს სამხარეო პოლიციის სპეცრაზმელებს

ბატონო სპეცრაზმელებო, სოდის სამეგრელოს წარმომადგენლებო – თქვენთან მე ყველაზე ნაკლები პრეტენზია მაქვს. მაგრამ ერთი ვერ გავიგე და მინდა გითხრათ.

უფროსობამ დაგავალათ – შემომივარდით სახლში. დაგავალეს ჩემი აყვანა - ამიყვანეთ. გეკითხებით, რატომ სცემდით იატაკზე დაწვენილ დაუცველ ადამიანებს? თქვენ გიჭირავთ იარაღი, ვინ გაგიბედავთ რამეს? თქვენ კი, ახალგაზრდა ბიჭებს, ჩემს სტუმრებს სასტიკად ფეხებით სცემდით, შეურაცხყოფას გვაყენებდით, თქვენ ხომ იცით მშობლების ბინება როგორ ალიქმება საქართველოში.

მე თქვენს მიმართ იმიტომ მაქვს ყველაზე ნაკლები პრეტენზია, რომ ვიცი: თქვენ ჩემს სახლში იარაღი არ ჩაგიდვიათ, არც არაფერი მოგიპარავთ, საქმეც არ შეგითითხნიათ, არც გაგიყალბებიათ, მაგრამ თქვენი მეშვეობით დეტექტივ-პოლიციელებმა ჩამიდეს იარაღი საწოლ ოთახში, შემდგომ კი ყველამ – გამომძიებლებმა, პროკურორმა და მოსამართლემ ერთმნიშვნელოვნად იცრუეს: ვითომც, თქვენ საერთოდ არ იყავით ჩემს სახლში 15 მარტს, 2009 წელს. რატომ? იმიტომ რომ თქვენი გამოყენება იყო უკანონო და თუ ეს იურიდიულად დამტკიცდა, ისინი (გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლეძ პასუხისგებაში მიეცემიან .

## მთელი საქართველოს სპეცრაზმის წარმომადგენლებს

ბატონებო! თქვენ გამზადებენ სპეციალურად, პროფესიონალურად. თქვენ გიყენებენ ყველგან, როცა სჭირდებათ ძალის გამოყენება, თქვენი მეშვეობით აშინებენ ხალხს. განა ეს არის თქვენი ამოცანა? მაგრამ, თქვენს უკან ამოფარებულნი ისინი თავს გრძნობენ მაგრად. იციან, რომ თქვენ რობოტებივით ხართ. გიბრძანებენ – ხალხს დაშლით. გიბრძანებენ – სცემთ. თქვენით სარგებლობენ, უთქვენოდ არაფერს არ წარმოადგენენ. უთქვენოდ – ცარიელები არიან. **ხელისუფლება მხოლოდ თქვენი მეშვეობით მართავს ქვეყანას. მაგრამ ეს ქვეყანა თქვენი სამშობლოც არის. შეიარაღებული ადამიანი – სპეცრაზმელი, ჯარისკაცი, ნებისმიერი ოფიციალურად იარაღის მქონე სახელმწიფო თანამშრომელი – ან ნამდვილად იცავს თავის ხალხს, ან წარმოადგენს დიდ საფრთხეს მათთვის. ეს თქვენ უნდა იცოდეთ. ნუ სჩადიხართ ცოდვას, ძალიან გთხოვთ!**

## მაგრამ პოვნის საშუალებას არ აძლევენ!

# დამიჯერეთ, ნამდვილ ცხოვრებას არაფერი სჯობს!

### სამეგრელოს (ზუგდიდის რაიონის) კონფიდენტ-აგენტ „შევჩენკოს“, იგივე დავით ქუთელიას და მისი სახით მთელი საქართველოს სპეცაგენტებს

საქართველოში რომ რუსეთის აგენტომანია გავრცელებულია და აყვანილია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, უკვე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ნაკლებად არის ცნობილი შიდა აგენტების შესახებ, რომელიც მე ვიხილე ჩემს „საქმესთან“ დაკავშირებით. საერთოდ ფაქტებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. აგენტებით სავსეა საქართველოს ყველა მხარე, დაწყებული სამეგრელოდან. აგენტების სიაში არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სამწუხაროდ ამ სიაში მოხვდნენ ჟურნალისტებიც, ან ე. წ. ჟურნალისტები, როგორც ჩემს შემთხვევაში.

სახელმწიფოს აგენტები (კუდის, სოდის, პოლიციის) ცხოვრობენ და მუშაობენ ჩვენს გვერდით. მათი მოვალეობაა ყოველმხრივი ინფორმაციის შეგროვება და მიწოდება, ასევე პროვოკაციის მოწყობა, რათა გამოიმუშაონ ხელფასი. ფული არის მათი მთავარი მამოძრავებელი მოტივი. უმეტესობა დათანხმდა უმუშევრობის გამო და ხელი მოაწერა ამ საშინელ საქმეს. მათ მისცეს ბარგი, საბუთი, ფული, გარკვეულ ნაწილს – ავტომანქანა, ზოგს – იარაღი და გაუჩინეს ყალბი ინტერესი საქმიანობისა. ამ „საქმიანობაში“ მოწვეულია პირველ რიგში ენერგიული ახალგაზრდები, ზოგჯერ სახალხოდ რომ ექახიან „ზონდერებს“ და თავისი ნების, ან შეხედულებების მიუხედავად ავალებენ დანაშაულებრივ ქმედებებს. აშკარა გამომჟღავნების შემთხვევაში მათ ემუქრებათ პასუხისმგებლობა, უმეტეს შემთხვევაში კი ფარავენ დანაშაულს. არაფერია ახალი, ეს ჩვენთან გადმოტანილია მესამე, განუვითარებელი ქვეყნების პრაქტიკიდან, როცა სჭირდებათ ხალხის დაშინება და მოაზროვნეთა „დაპატიმრება“.

განსჯისთვის და სამაგალითოდ უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად განვითარებულ სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მართველობის ქვეშ ჰყავს კონფიდენციალური აგენტები, რომელთა ამოცანაც არის დამნაშავე პირების გამოვლენა და არა თვით დანაშაულის ჩადენა, ან მისი პროვოკაცია, როგორც ეს ხდება საქართველოში. მათ ევალებათ, პროვოკაციები, ცრუ მოწმობა, ცილისწამება, თვით დანაშაულის ჩადენა – ასეთ ამოცანას უსახავს „სახელმწიფო“, უფრო სწორად, სახელმწიფო პირები, თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. აგენტ პირთა გამომჟღავნება (გამოვლენა) რთულიც არის და მარტივიც, თუ გადავხედავთ სახელმწიფო უწყებების (პოლიციის, კუდის, სოდის და სხვათა) ბუღალტერიას, ხელმოწერებს და განცხადებებს თანამშრომლობის შესახებ.

ფაქტების გარეშე ლაპარაკი დაუშვებელია. დღეს მინდა მივმართო ზუგდიდის რაიონის დაბალი ზონის მოსახლეობას, სოფლებში: კახათი, ახალკახათი, დარჩელი, ერგეტა, ორული, ანაკლია, განმუხური. მინდა გაგაცნოთ თქვენი ზონის სპეცაგენტი, თქვენთვის ცნობილი დარჩელელი დავით ქუთელია, რუსულ-უკრაინული გვარის ფსევდონიმით „შევჩენკო“, რომელმაც ჩაიდინა მრავალი დანაშაული ხალხის მიმართ „სახელმწიფო“ დავალებით: ქურდობა, ყაჩაღობა, იარაღის ჩადება და ა.შ. ვფიქრობ, ამ ადამიანს თქვენ კარგად იცნობთ.

**გიჩქუდან ჯიმალეფ, თე კოჩი რე თქვან ფარაშ მიდმალალარ, თქვან სკუალეფიშ დუმახუნაფალ, მახენჯი დო გიმანთხაფალ. თე კოჩის (კოჩი ქიდიძახენდა) ოკუთნუ თქვან კუნთხუ, ვემკანჭათ!** (იცოდეთ, ძმებო, ეს კაცია თქვენი ფულის წამგლეჯი, თქვენი შვილების ციხეში გამომწყვდეველი, ქურდი და ყაჩაღი. ამ კაცს (თუ შეიძლება მას კაცი ეწოდოს) ეკუთვნის თქვენი კუთხე. ახლოს ნუ მიეკარებით!)

საქმე ის არის, რომ ეს პიროვნება (თუ ყაჩაღი) მჭიდრო კავშირშია ზუგდიდის რაიონის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდის) უფროსთან ილია გაწერელიასთან და მუშაობს მისი დავალებით. უფრო მეტიც, ი. გაწერელია ფარავდა და ფარავს დ. ქუთელიას მიერ ჩადენილ დანაშაულს ან დანაშაულებს. პროკურატურას აქვს დაწყებული ძიება მათ მიმართ, მაგრამ საქმე დროებით შეჩერებულია, რათა იმუშაონ ხალხის გამწარებაზე, გაძარცვაზე „შედეგიანად“. ვფიქრობ, კომპეტენტური ორგანოები დაინტერესდებიან ამ საქმით.

ახლა კი მივმართავ მთელი საქართველოს შიდა-სპეცაგენტებს. გასაგებია, რომ თქვენ გიჭირთ, მაგრამ ხალხსაც უჭირს, მათ შორის თქვენს ნათესავებს და მეგობრებს, რომლებსაც არ გაუხარდებათ თქვენი საქციელი. უმუშევრობა საქართველოში მაღალია, მაგრამ სჯობს ნახოთ სხვა საშუალება, თქვენ ხომ ახალგაზრდები ხართ, არ გაიფუჭოთ მომავალი. დამიჯერეთ, ყველაფერი შეიცვლება. თქვენს „მოღვაწეობას“ აქვს პოლიტიკური და მერე სოციალური ხასიათი. თქვენ უბრალოდ გიყენებენ როგორც სხვებს. გთხოვთ, მოშორდით ასეთ სამსახურს, განთავისუფლდით, მე გეუბნებით სიმართლეს, დამიჯერეთ. ვიცი ძნელია, მაგრამ თქვენ შეძლებთ. ნამდვილ ცხოვრებას არაფერი სჯობს!

---

სარედაქციო ფოსტიდან

## მოდგმავ ცოტნეს და ქუჯის

პოლიტპატიმარ აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას

კვლავ ეშინიათ შენი,
მოდგმავ უძველეს კოლხთა.
რაინდს მარადის შვენის
სამშობლოსათვის ოხვრა.

თავზე ევლებმი მამულს,
ფრთები გასხია ორმის
მეცნიერს,
მკვლევარს,
სწავლულს,
აკადემიკოსს ცნობილს.

კალამს საჭრეთლად ხმარობ,
გრაალის მცველემს ეძებ.
და წარსულიდან გესმის
ზღაპილი ოქროს ვერძის.

კვლავ ეშინიათ შენი,
ალბათ უფრთხიან კალამს,
ერთობაშია, ძმაო,
იციან, ხალხის ძალა.

გამონათდება მალე,
მზე დაგვიდგება ფარად,
რადგან სამშობლოს შენსას
ღვთიმშობლის კალთა ფარავს.

აღარ შეკრთები ვიცი,
მოდგმავ ცოტნეს და ქუჯის!
იმათ რა უნდა ვუთხრათ,
მწერალს ციხეს რომ უსჯის!!!

ნათელა გოხელაშვილი

---

# –საქართველოს ჟურნალისტებს–

**ქალბატონებო და ბატონებო, ჟურნალისტებო!** მოგახსენებთ რომ, ზუგდიდის რაიონული გაზეთის „სამეგრელოს ქრონიკის“ თანამშრომელთა მეთაურობით, რომლებიც უხელფასოდ, „სუფთა ენთუზიაზმზე“ მუშაობენ, ერთ წელიწადზე მეტია, წამყვანი ტელეარხების წარმომადგენლებს: **ლელა ხუბულავას** („დაზარალებული“), **პაატა ლაგვილავას, ლორეტა ქობალიას, მანანა ხუბულავას, აკაკი პერტაიას, ნათია ბერულავას** (პირველი არხი), **ლაშა ბერულავას** (ტელეკომპანია „იმედი“), **ემა გოგოხიას** („რუსთავი-2“) – შეუძლიათ იზეიმონ თავისი გამარჯვება საქართველოს ჟურნალისტიკის დიდ ისტორიაში!

ბოლოს და ბოლოს, **ასრულდა ოცნება, გაიხსნა ანგარიში საქართველოს სისხლის სამართლებრივ პრაქტიკაში ჟურნალისტებისათვის ხელის შეშლაში აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მხრიდან, რომლის ინტერვიუს გაუვრცელებლობისთვის, ზუგდიდის სასამართლოს განაჩენით მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა მაქსიმალური – ორი წლის ვადით (ციხე).**

ამჟამად საქართველოს ჟურნალისტები მსოფლიოს დაუმტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში არავის აპატიებენ მათი ხელის შეშლას – გაავრცელონ, გამოაქვეყნონ ყველა ინტერვიუ რო-

### საქართველოს სისხლის სამართლებრივ პრაქტიკაში ჟურნალისტებისთვის ანგარიში გაიხსნა...

გორც უნდათ, სადაც უნდათ და თუ ვინმე არ მისცემს ინტერვიუს, ან მოითხოვს მის დადასტურებას – ჩასვამენ ციხეში. ჩვენ, ჟურნალისტებს არ გვაწუხებს, რომ გვიმტვრევენ ხოლმე კამერებს, გვცემენ ქუჩაში, ზოგჯერ გვიხურავენ ტელეარხებს, ზოგჯერ გვართმევენ. ეს არაფერია, ამას გვიკეთებს ჩვენი უსაყვარლესი სახელმწიფო სპეც-უწყებები. მთავარია, ჩვენ ვაჩვენეთ საქართველოს რომ 6-თვიანი ბრძოლით დავადასტურეთ ჟურნალისტური უფლებები და დავიცავით ძალადობის მუქარისაგან და სახლის აფეთქებისაგან ლელა ხუბულავა.

ამის გარდა, ჩვენი ჟურნალისტების მეშვეობით ზუგდიდის „სამართალდამცავმა ორგანოებმა“, სპეცნაზელებთან ერთად, ჟურნალისტის ხელის შემშლელ ხალხში იპოვეს მათ მიერვე ჩადებული იარაღი – ავტომატი „კალაშნიკოვი“ და ორი ხელყუმბარა ლეიბის ქვეშ და გახსნეს ურთულესი საქმე განსაკუთრებული სახელმწიფო საშიში პიროვნების დადგენაში. ჩვენ, ჟურნალისტები მზად ვართ ყოველთვის მხარი დავუჭიროთ ჩვენს სპეცსამსახურებს და სპეცაგენტებს.

ასეთი ჩადენილი გმირობისათვის თვით პრეზიდენტმა უნდა ჩამოკიდოს კისერზე აქ ჩამოთვლილ ჟურნალისტებს ვახტანგ გორგასლის ორდენი და გაუხსნას გრანდიოზული მემორიალი – ჟურნალისტების დაცვისათვის.

**უკომენტაროდ,**

**პოლიტპატიმარი,**
**ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი,**
**აკადემიკოსი**
**ვლადიმერ ვახანია.**

№ 205. ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2009 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი არ ინანიებს ომის გამო

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ბი-ბი-სი“-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი 2008 წლის აგვისტოში იყო „სამხედრო ბანაკი“ და მისი შტურმი, რითაც დაიწყო რუსეთთან სამხედრო კონფლიქტი, გამართლებულია.**

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვები ფარული ფორმით ეწინააღმდეგება შვეიცარიელი დიპლომატის ჰაიდი ტალიავინის მეთაურობით შემდგარი საერთაშორისო კომისიის დასკვნებს.

სააკაშვილმა აგრეთვე აგრძნობინა, რომ ვერ ხედავს აუცილებლობას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოიკვლიონ დანაშაული, რომელიც შეიძლება საქართველოს არმიამ ჩაიდინა სამხრეთ ოსეთში, აღნიშნა, რომ ყველა საჭირო გარჩევა უკვე მოხდა თავად საქართველოში.

გასულ ოთხშაბათს ტალიავინის კომისიამ გამოაცხადა, რომ ცხინვალზე იერიშს საქართველოს ჯარების მიერ 7-დან 8 აგვისტოს ღამით, არა აქვს გამართლება საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ხოლო თბილისის მიერ წამოყენებული ვერსია იმის შესახებ, რომ სინამდვილეში რუსეთის ჯარები შევიდნენ სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ 7 აგვისტოს დილით, არ მტკიცდება.

ამასთან ერთად კომისიამ მიუთითა, რომ კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის გამძაფრებას წინა თვეებში ხელს უწყობდნენ როგორც საქართველო, ისე რუსეთი, ხოლო რუსეთის სამხედრო რეაქცია არაპროპორციული იყო.

სააკაშვილის მიერ იმ მოვლენათა ვერსიების გადმოცემა, რაც წინ უსწრებდა ცხინვალის შტურმს, დიდად არ განსხვავდება იმისგან, რასაც იგი ლაპარაკობდა ტალიავინის მოხსენების გამოქვეყნებამდე.

„ეს ისე არ უნდა გამოიყურებოდეს, თითქოს პატარა უსუსური ქალაქი, როგორც მას რუსები აღწერენ, გახდა ჩვენი შესვლის მიზანი უმიზეზოდ, თითქოს, ღამით და მკაცრად დავესხით თავს მძინარე ქალაქს. ქალაქის მოსახლეობა წინასწარ იყო გახიზნული სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებამდე, არსებითად იმიტომ, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა დაბრკოლება გახდებოდა ჯარებისთვის, რომლებიც მიდიოდნენ ვიწრო გზით“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ქალაქი სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული. მასში უკვე იმყოფებოდნენ რუსეთის ჯარები, და ისინი ესროდნენ ჩვენს პოზიციებს“, – დაუმატა მან.

მისი სიტყვებით, ცხინვალი თითქმის დაცარიელებული იყო, საქართველოს არმია უტევ-



და მხოლოდ სამხედრო მიზნებს და სიცრუეა, რომ მან გამოიყენა ძალები არაპროპორციულად.

„დამოუკიდებელი კომისიის ამ მოხსენებაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ საქართველოს ძალების მიერ არავითარი დანაშაული არ გამოვლენილა, მაგრამ შემოჭრილი რუსების ჯარები აწარმოებდნენ ეთნიკურ წმენდას“, – აღნიშნა მან.

წამყვანი შეედავა, რომ თავის დროზე რუსეთის ხელისუფლებასაც მისცემენ ასეთსავე არასასიამოვნო შეკითხვას საქართველოსთან ომის მიმდინარეობის შესახებ.

მაგრამ საქართველოში, ქართული ოპოზიციის ლიდერების ირაკლი ალასანიასა და ნინო ბურჯანაძის სიტყვებით, ომის ბევრ ვითარებას დღემდე მალავენ.

ამაზე სააკაშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს პარლამენტში მოხდა გამოკვლევა და მას თავად დაჰკითხავდა პარლამენტის კომისია ექვსი საათის განმავლობაში. „რაც უნდა მკითხოთ, ქართულმა საზოგადოებრიობამ ამის შესახებ უკვე მკითხა“, – აღნიშნა მან.

„მოუთმენლად ველი, თუ როდის მოიწვევთ თქვენს პროგრამაში ვლადიმერ პუტინს“, – დაუმატა სააკაშვილმა.

შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდება იგი ბარაქ ობამას ადმინისტრაციის მოწოდებას, გამოიჩინონ რუსეთთან დამოკიდებულებაში „სტრატეგიული მოთმინება“, სააკაშვილმა უპასუხა რომ იგი არ ისწრაფვის ახალი ომისკენ რუსეთთან.

BBC RUSSIAN.com

# როდესაც აფხაზეთის მდგომარეობას ახლებურად განვსჯით

**10 სექტემბერს, როგორც კი რუსეთთან ხელი მოაწერა დიდ კონტრაქტს შეიარაღების მიწოდების შესახებ, ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აღიარებს საქართველოდან გამოყოფილი რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ამრიგად ვენესუელა გახდა მესამე ქვეყანა – ნიკარაგუასა და რუსეთის შემდეგ – რომელმაც ამგვარი განცხადება გააკეთა.**

ერთ წელზე ცოტა ხნის შემდეგ, რაც რუსეთმა ცალმხრივად აღიარა ორი პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფო და რაც მოჰყვა საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან ხანმოკლე ომს, საერთაშორისო გაერთიანება, მათ შორის რუსეთის ისეთი ახლობელი მოკავშირეები, როგორებიც არიან ბელარუსი და ყაზახეთი, ამ საკითხში გარკვეულ დისტანციას იჭერენ.

როგორც ელოდებოდნენ, საქართველოს დედაქალაქმა თბილისმა მნიშვნელობა არ მიანიჭა ჩავესის განცხადებას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ ფაქტის კომენტირების დროს გამოთქვა რწმენა: ჩავესის მოქმედება მხოლოდ ამტკიცებს „იმ ქვეყნების გადაწყვეტილებას, რომლებიც პატივს სცემენ საერთაშორისო სამართალს და კვლავაც გამოდიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით“. ვაშინგტონმაც თავის მხრივ დააკნინა მოვლენის მნიშვნელობა, აღნიშნა, რომ ვენესუელის მიერ აღიარება „არ მიანიჭებს ლეგალურობას სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსს.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უგო ჩავესის ხმამაღალი განცხადებიდან გავრცელდა ხმები აფხაზეთის შესაძლო აღიარების შესახებ თურქეთის რეგიონალური სახელმწიფოს მიერ, რომელსაც აქვს უკვე დიდი ხნის ისტორიული და კულტურული კავშირები ამ რეგიონთან. ასეთი მიდგომა გამოიწვევს იმას, რომ მკვეთრად შეიცვლება გეოპოლიტიკური კლიმატი და, მიუხედავად ანკარის მხრიდან მრავალმხრივი უარყოფისა, ხმები არ წყდება.

თურქეთის მხარის წარმომადგენლები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ თურქეთის დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი არ შეცვლილა, მიუხედავად თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის თანამშრომლის ამასწინანდელი სოხუმში ყოფნისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ახმეტ დავუთოღლის განცხადებისა, ჩავიდეს აფხაზეთში. თურქეთი არ ფარავს თავის განზრახვას გამოიყენოს თავისი მზარდი საკუთარი გავლენა რეგიონის დიდი ინტეგრაციისთვის ხელის შეწყობაზე, ამიტომ მისი ინიციატივები სავსებით ლოგიკურია. მაგრამ ევროპის კავშირის მხრიდან გარდაუვალი ნეიტრალური რეაქცია, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს შესახებ, უეჭველია, ხელს შეუშლის ამ მიზნის განხორციელებას, თუ თურქეთი გადაწყვეტს გამოყოფილი რეგიონის აღიარებას.

ამავე დროს სწორედ სოხუმისა და თბილისის შესაძლო „გაერთიანების“ მხარდაჭერა დასავლეთის ქვეყნებისა და საქართველოს მხრიდან პარადოქსულად აძლევს რუსეთს შესაძლებლობას, შეინარჩუნოს აფხაზეთი თავისი გავლენის სფეროში. სამხრეთი ოსეთისგან განსხვავებით, რომელმაც ურცხვად განაცხადა თავისი სურვილი შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას, აფხაზეთმა აშკარად გვაგრძნობინა, რომ სურს სრული დამოუკიდებლობა და არაფერ სხვაზე თანახმა არაა. უეჭველია, რუსეთის გავლენის გაძლიერებამ აფხაზეთში გამოიწვია გარკვეული რაოდენობის აფხაზთა ძლიერი რეაქცია, რომლებსაც აშინებთ უფრო დიდი მეზობლის მიერ მათი ჩაყლაპვის პერსპექტივები.

ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი, მათ შორის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ოფიცერი და აფხაზეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი რაულ ხაჯიმბა გმობს მთავრობის გადაწყვეტილებას – გადასცეს საზღვრისა და ძირითადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კონტროლი რუსეთს.

მაგრამ რუსეთი ერთმხრივად კისრულობს პასუხისმგებლობას მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო მხარდაჭერის გათვალისწინებით, სახელმწიფოთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა არაოფიციალურ ეკონომიკურ და დიპლომატიურ ემბარგოს აფხაზეთის წინააღმდეგ. აფხაზეთი თავისთვის ვერ ხედავს სხვა ალტერნატივას გარდა იმისა, რომ იყოს დამოკიდებული რუსეთის მფარველობაზე. არაფერია გასაოცარი იმაში, რომ ამ სტრატეგიამ დიდად არ შეუწყო ხელი მცდელობას შეუერთდეს ანდა აღადგინოს მეგობრული ურთიერთობა თბილისთან. მაშინაც კი, თუ აფხაზი პოლიტიკოსები შეეცდებიან თავი დააღწიონ რუსეთის საფინანსო დახმარებასა და დაცვას, დიდია იმის ალბათობა, რომ რუსეთმა ძნელად რომ თქვას უარი პრივილეგიურ მდგომარეობაზე, რაც მან შექმნა თავისთვის რეგიონში, რომელიც ოდესღაც ცნობილი იყო, როგორც „საბჭოთა რივიერა“.

ამ პოზიციებიდან, რუსეთისთვის თავგზის აბნევა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება შეიძლება აღმოჩნდეს მოხერხებული ნაბიჯი დასავლეთის ქვეყნებიდან და თბილისის მხრიდანაც კი. ამ გადაწყვეტილებას აქვს რამდენიმე შესაძლო უპირატესობა, რომელთაგან ერთ-ერთია, არც მეტი, არც ნაკლები, მოხდეს დიალოგი აფხაზეთთან მისი საკუთარი პირობებით, რუსეთის ინტერესების ნიშნების გარეშე, რაც ჯერჯერობით მოლაპარაკების მაგიდის თავზეა მხოლოდ. სხვაგვარი გახდება შესანიშნავი შანსი, შემცირდეს დაძაბულობა სოხუმსა და თბილისს შორის თანაბარ დონეზე საუბრის დახმარებით, რაც არასოდეს ყოფილა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებისთვის დამახასიათებელი (წარსულში თბილისმა უარყო თავად იდეა დისკუსიისა თანაბანი უფლებებითძ.

ლონდონის უნივერსიტეტთან არსებული აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევის სკოლის ლინგვისტიკის პროფესორი და აფხაზეთის საპატიო კონსული ჯორჯ ჰიუიტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში არის წინადადებათა პოტენციური აუდიტორია დასავლეთთან კავშირურთიერთობის განმტკიცების შესახებ. „ფართოდ არის გავრცელებული ძლიერი უკმაყოფილება დასავლეთის ორმაგი სტანდარტების გამო, – აღნიშნავს იგი. – მაგრამ ამავე დროს, თუნდაც არა ყველგან, მაგრამ ფართოდ აღიარებენ, რომ საჭიროა ერთგვარი დაპირისპირება რუსეთის პოტენციურ დომინირებასთან“.

და მაინც, აფხაზეთის აღიარების პროცესის მიშვება რთული ამოცანაა. აფხაზეთის აღიარება შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც სტატუს-კვოს დადასტურება, და ეს კი ნიშნავს, რომ ვაღიაროთ მოქმედებანი, რისი წყალობითაც იქნა მიღწეული იგი – კერძოდ, რუსეთის შარშანდელი შეჭრა და ეთნიკური წმენდის კამპანია, რამაც გამოიწვია ასეული ათასი ქართველი მოქალაქის გამოდევნა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან.

**მიშელ ჰიკარი სესირი**

Unrepresented Nations and Peoples Organization

## დედამიწის ზურგზე



**შვედეთის მეფეს სთავაზობენ დაიბრუნოს ხელისუფლება**

კონსერვატორი დეპუტატის ანიკა ენგბლუმის აზრით, მეფემ უნდა დანიშნოს პრემიერ-მინისტრი, როგორც ეს იყო 1975 წლამდე. ამჟამად მთავრობის მეთაურის კანდიდატს ასახელებს პარლამენტის სპიკერი. მეფე ასრულებს წარმომადგენლობითსა და ცერემონიულ ფუნქციებს.

* * *

**სილვიო ბერლუსკონის შეიძლება ჩამოართვან პრემიერის ხელშეუხებლობა**

იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო მსჯელობს, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას კანონი, რომელიც კრძალავს უმაღლესი თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის დევნას. თუ კანონს გააუქმებენ, ბერლუსკონის ემუქრება ბრალდება მექრთამეობაში, დეპუტატებზე ზემოქმედებაში და გადასახადებისგან თავის არიდებაში.



* * *

**ასტროლოგებმა სატურნის გარშემო აღმოაჩინეს გიგანტური რგოლი, რომელიც მანამდე უცნობი იყო**

ყინულისა და მტვრის რგოლი დახრილია 27 გრადუსით და იგი მდებარეობს სატურნის სისტემის განაპირა მხარეს. თავისი მოცულობით რგოლი მილიარდზე უფრო დიდია დედამიწასთან შედარებით, აღნიშნავენ მეცნიერები. იგი პრაქტიკულად არ აირეკლავს ხილულ შუქს, ამიტომ ადრე მის შესახებ არაფერი იცოდნენ.



* * *

**კლინტონმა მოუწოდა გვინეის სამხედრო ხელისუფლებას, გადადგეს**

მისი სიტყვებით, ამერიკელმა დიპლომატებმა უკვე აწარმოეს მოლაპარაკება გვინეის ხელმძღვანელობასთან „ყველაზე მკაცრ ტონებში“. ხელისუფლებამ „დიდი ბოდიში უნდა მოუხადოს ხალხს, რომელიც გამოხატავს მშვიდობიან პროტესტს სამხედრო ხელმძღვანელობის პოლიტიკის წინააღმდეგ“. 28 სექტემბერს დემონსტრაციის დახვრეტის დროს დაიღუპა 157 კაცი.



ქვირფასი სილუეტები

# ნაბოლარას ტვირთი



**ზღაპრებში ხომ სინამდვილიდანაა ჩასახლებული ნაბოლარა, უმცროსი ვაჟიშვილი, ყველა დედ-მამიშვილზე ლამაზი, ყველა დედ-მამიშვილზე ნიჭიერი, ჭკვიანი, მოხერხებული, მაკვარანცხი...**

ჭორვილელი შალვა ნადირაძის ექვს შვილს – ხუთ ვაჟსა და ერთ ქალს – ნიჭი და ჭკუა-გონება არ აკლდათ, მაგრამ ეს მეშვიდე, ოდგამოვლილმა ვაჟკაცმა და მისმა სათაყვანო მეუღლემ – თებრო წერეთლის ქალმა 1949 წელს რომ „მოიფიქრეს", განსაკუთრებული გამოვიდა.

– რა თქმა უნდა, ეჭვიანეებოდათ ასე, – მიამბობს ელდარ ნადირაძე, ჩვენი ძმა და პირის ზიარება, აგერ, ახლახან 60 წლისა რომ გახდა, – და-ძმები, თითქმის ყველა, უკვე სტუდენტები იყვნენ და ჩემზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე... ახლა მშობლებს არ იკითხავ? ძალიან ვეიმედებოდი ორივეს...

მეღიმება, – ვითომ?.. ერთი ის მოყევი, მამას როგორ მიეხმარე შეშის დაჩეხვაში...

– შენც იცი?

– მაშ...

– ჰო... შეშას ჩეხავდა, მე შორიახლო ვიჯექი. მოდი ბიჭო, მომეხმარეო, მეძახის.

– კი ბატონო-მეთქი.

– ადექი მერეო!..

– ადგომა რად მინდა, შენ ნაჯახი დაარტყი და მე „ხო"-ს დავიძახებ-მეთქი.

გადააქნია თავი, ერთი, რატო ყვერში არ მომხვდა იმ ფრიცის ნასროლი ტყვია, ხომ ველარ გაგაკეთებდი შენო!..

ვიცინით გულიანად.

– აცხონა ღმერთმა, მამამ მასწავლა სამშობლოს სიყვარული, შემაყვარა პოეზია, მისგან გავიგე, პუშკინი რომ იყო „პოლტავას" ავტორი, ზეპირად იცოდა მამამ ვაჟას პოემები... აკაკი ხომ იცოდა და იცოდა... საერთოდ, მთელი ოჯახი დიდ პატივს სცემდა წიგნიერებას, სულიერებას... ბაბუა მღვდელი იყო...

* * *

**ხუმრობა იქით იყოს და, ორ პროფესორ ძმას – ასანას (გიორგის) და ჯურხას არც ნაბოლარა ჩამორჩა, ელდარმა 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და დღეს უკვე ცნობილი ეთნოლოგია, 1998 წელს გახდა მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო 1999-ში – პროფესორი.**

თუ ასანამ საქართველოს ისტორიის ანალებში იტრიალა, თუ ჯურხამ მთელ საირხეს გულმკერდი გადაუხსნა და უთვალავი სიმდიდრე იპოვა, ელდარი ძირითადად იკვლევს ქართველი ხალხის მატერიალურ კულტურას, რელიგიას, სამონასტრო ცხოვრებას...

აი, სრულიად განსაკუთრებული შემთხვევა, ძვირფასო მკითხველო: სამი პროფესორი და სამი პოლკოვნიკი ერთი ოჯახიდან!.. ხოლო ექვსი ძმის დაია ლამარა ღვაწლმოსილი პედაგოგია!.. სულ დარჩეულები, ერთიმეორეზე უკეთესნი... სამი ძმა ელდარისა, ჩემი სამი უფროსი მეგობარი: ასანა, ჯურხა და ლევანი (იურისტი იყოძ, სამწუხაროდ, უკვე ცოცხალთა შორის აღარ არიან... და ამ სტრიქონების წერისას უნებურად მახსენდება გასული საუკუნის 60-იანი წლები, დედაუნივერსიტეტის ბაღი და ცხარე კამათები ლიტერატურაზე, ფეხბურთზე, სადაც ძალიან აქტიურობდნენ ხოლმე ძმები ნადირაძეები (განსაკუთრებით ასანაძ... და, თითქოს, მათ საკეთებელსაც აკეთებს დღეს ელდარი... ტყუილ-უბრალოდ არ ეიმედებოდათ მშობლებს, მარტო აი, ეს „მშრალი" ავტობიოგრაფიაც კი ნათლად მეტყველებს მათი ნაბოლარა შვილის ნიჭსა და გაქანებაზე.

ელდარი ნადირაძე 1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. ამჟამად იგი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორია. 120 სამეცნიერო და 11 წიგნის ავტორია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ძირითადად იკვლევს ქართველი ხალხის მატერიალურ კულტურას, რელიგიას, სამონასტრო ცხოვრებას. ელდარმა შეისწავლა საქართველოში გავრცელებული საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლები და დაასაბუთა მათი ქართული ეთნოკულტურისადმი კუთვნილება. მონოგრაფიულად გამოიკვლია საქართველოს მემორიალური კუთვნილება (საფლავის ძეგლებიძ, პირველმა წარმოადგინა და შეისწავლა მათი ქრონოლოგია, კლასიფიკაცია და სიმბოლიკა. გამოიკვლია ხალხური ქვითხუროობის ასპექტები, ქართული ბერ-მონაზვნების სოციალური ყოფისა და სამეურნეო ურთიერთობის საკითხები. დაწერა სახელმძღვანელო ნაშრომი – მსოფლიოს რელიგიები. ელდარ ნადირაძის მონაწილეობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთაგან აღსანიშნავია ნარკვევი ქართული ღვინისა და ლუდის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. თანაავტორია კატალოგებისა „მაქს ტილკე" (2006 წ.ძ და „ქურთული სიძველენი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან" (2007 წ.ძ.

იგი ავტორია პუბლიცისტური წერილებისა, სადაც რელიეფურად აისახა XX-XXI საუკუნეთა მიჯნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ასამბლეათა მუშაობაში (პატმოსი – 2001, ბუქარესტი – 2002, რიგა – 2002, ტალინი – 2003ძ დამაარსებელი და რედაქტორია სამეცნიერო რეფერირებული კრებულისა „ეთნოლოგიური ძიებანი". მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით მომზადდა კოლექტიური აკადემიური ნაშრომი „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი".

ელდარ ნადირაძე დაჯილდოებულია ღირსების მედლით, მინიჭებული აქვს საჩხერის საპატიო მოქალაქის წოდება, მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა საქართველოში" (2001, 2005 წ.წძ.

ამჯერად ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზეზი გახდა ახლახან გამოსული მისი წიგნი „გრძნობა შენი მოვლისა", რომელშიც ქართული ეთნოკულტურის ნარკვევებთან ერთად წარმოდგენილია ელდარ ნადირაძის ნამოღვაწარი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში. ნაშრომს რეფრენად გასდევს დიდი გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები – „ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოსვლისა, მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია" – რომლის პირველი ნაწილი სათაურადაა გამოტანილი და აუცილებლად მიანიშნებს ავტორის პოზიციაზე, რაც ზოგჯერ დიდი ტკივილითაა გამოხატული.

* * *

**აი, ნაბოლარა, ბატონებო!.. ახლა მისი კეთილშობილება და სამეგობროდ გადაშლილი გული უნდა იცოდეთ, მისი თამადობა და ქართული ლექსის ტრფიალება შეიგრძნოთ! აკაკის მშობელ კუთხეში დაბადებულ კაცს რომ სამშობლო ჰყავდეს სახატედ და იდეალად, რა გასაკვირია. ჩვენს ელდარსაც დააქვს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი", დააქვს და უძლებს იმ ტვირთს დიდი ოჯახისგან, მშობლებისგან, უფროსი დედ-მამიშვილებისგან რომ აწევს სიყვარულის, ამაგის, პიროვნებად, მამულიშვილად ჩამოყალიბების გამო.**

**ჰოდა, მინდა შენი საჩხერელი დიდი მეზობლის, ბატონი მუხრანის (რომლის საიუბილეო საღამოს და მერე სუფრასაც საჩხერეში შენ შესანიშნავად უძღვებოდი) ცნობილი სტრიქონის პერიფრაზით დავამთავრო, ჩემო ელდარ, ეს ჩანახატი: იარე, იარე, მუხლმაგრად იარე, ამინ!**

ვილენ მარდალეიშვილი

# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ქონებაზე (მილებზე) XIV ლოტად.**

| № | მილის დიამეტრი | რაოდენობა მეტრებში | საწყისი გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|
| I ლოტი | 300 მმ-იანი ლითონის მილი | 847,25 | 20 156,10 ლარი |
| II ლოტი | 300 მმ-იანი ლითონის მილი | 847,25 | 20 156,10 ლარი |
| III ლოტი | 400 მმ-იანი ლითონის მილი | 25.00 | 909,25 ლარი |
| IV ლოტი | 500 მმ-იანი ლითონის მილი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| V ლოტი | 500 მმ-იანი ლითონის მილი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| VI ლოტი | 500 მმ-იანი ლითონის მილი | 876,6 | 40 016,80 ლარი |
| VII ლოტი | 700 მმ-იანი ლითონის მილი | 1099,78 | 88 015,40 ლარი |
| VIII ლოტი | 700 მმ-იანი ლითონის მილი | 1099,78 | 88 015,40 ლარი |
| IX ლოტი | 800 მმ-იანი ლითონის მილი | 528.00 | 33 997,92 ლარი |
| X ლოტი | 1200 მმ-იანი ლითონის მილი | 972.00 | 113 988 ლარი |
| XI ლოტი | 1200 მმ-იანი ლითონის მილი | 972.00 | 113 988 ლარი |
| XII ლოტი | 1200 მმ-იანი ლითონის მილი | 972.00 | 113 988 ლარი |
| XIII ლოტი | 1200 მმ-იანი ლითონის მილი | 972.00 | 113 988 ლარი |
| XIV ლოტი | 1200 მმ-იანი ლითონის მილი | 972.00 | 113 988 ლარი |

აუქციონის "ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10% - ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართზე I ლოტად.**

I ლოტი – მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1000 კვ.მ. მიწის ფართი.
(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი № 72.07.04.458)

საწყისი გასაყიდი ფასია – 1 $მ^2$ – 30 (ოცდა ათი) ლარი

აუქციონის "ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.
აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10% - ს
აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

ტატამს მიღმა

# როდემდე?

საქართველოში გაყინული კონფლიქტებით ვის გავაკვირვებთ, მაგრამ ის, რაც ძიუდოს სამყაროში ხდება, მართლაც რომ საოცრებაა.

შეგახსენებთ, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ფედერაციის პრეზიდენტსა და ეროვნული ნაკრების აწ უკვე ყოფილ თავკაცს შორის შავმა კატამ გაირბინა. ამის გამომწვევ ვერსიებზე რამდენჯერმე ჩვენც ვწერდით, ამიტომ კიდევ ერთხელ მხოლოდ იმას გავუსვამთ ხაზს, რომელიც თავმოყვარე კაცისთვის ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელად მიგვაჩნია. ესაა ის ბრალდება (თუ არ დადასტურდა – ცილისწამებაძ, რომელიც დილარ ხაბულიანმა შოთა ხაბარელს წაუყენა „ჯვაროსანთათვის“ გამოყოფილ საპრემიო თანხებს ითვისებდიო.



როცა მდინარე სათავიდან აიმღვრა, მოხრეები, ბუნებრივია, ორივე მხარეს გაუჩნდა, გუნდის დაშლას და ბანაკებად დაყოფას კი ერთ-ერთ შეკრებაზე ამტყდარი ჩხუბი და, რაც ყველაზე სავალალოა, არნახული სპორტული ჩავარდნა მოჰყვა – პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში, ტატამის ქართველი ოსტატები მსოფლიოს ჩემპიონატიდან უმედლოდ დაბრუნდნენ.

გაჭიანურებულ კატათაგვობანას წერტილი ამას წინათ უნდა დასმოდა, როცა ფედერაციის ხელმძღვანელმა წესდების ერთ-ერთი პუნქტი აამოქმედა, ძალაუფლება გამოიყენა და ქვეშევრდომს პოსტი დაატოვებინა. მართალია, მის შემცვლელად დანიშნულ ამირან ტოტიკაშვილს ავტორიტეტი არ აკლია, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ვნებათა ჩასაცხრობად იგი საკმარისი არაა. უფრო პირიქით შერისხული მთავარი მწვრთნელის 23 მოხრე, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, ზემდგომთაგან საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით განხილვას, მტყუან-მართლის ერთხელ და სამუდამოდ გარკვევასა და სამართლიანობის აღდგენას ითხოვს.

და როგორი რეაქცია აქვთ განვითარებულ მოვლენებზე ქართული სპორტის მამებს? პირდაპირ უნდა ითქვას: არანაირი! უფრო კონკრეტული პასუხი თუ გნებავთ, მინისტრი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უცხოური მივლინებებით არიან დაკავებულნი, ხოლო ამასობაში ბუნტი ქართულ ძიუდოში გრძელდება.

როდემდე?

გია პლატონიშვილი

ფეხბურთი

# ახალგაზრდული ნაკრები ირლანდიაში გაემგზავრა



**საქართველოს 21-წლამდელ ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 9 ოქტომბერს, სტუმრად ირლანდიას დაუპირისპირდება თბილისში ბოლო ვარჯიში სამშაბათს ჩაატარა და 7 ოქტომბერს გამთენიისას სტამბულის გავლით დუბლინში გაემგზავრა.**

**შეგირდები დუბლინში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრნენ:**

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“ძ, რევაზ თევდორაძე („გაგრა“ძ.

**მცველები:** გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი“ძ, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა (ორივე „დინამო“ძ, გიორგი ხატიაშვილი („ლოკომოტივი“ძ, ლაშა თოთაძე („გაგრა“ძ, გურამ ადამაძე („ვიტ ჯორჯია“ძ.

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი („ზესტაფონი“ძ, ლევან კუტალია („სლავია“, ბოსნია-ჰერცოგოვინაძ, თემურ შონია („სპარტაკი“ძ, გიორგი ჯანელიძე, ირაკლი კლიმიაშვილი (ორივე „ვიტ ჯორჯია“ძ, ლევან ყენია („შალკე“, გერმანიაძ, ვაჟა ნემსაძე („დინამო“ძ, ჯანო ანანიძე („სპარტაკი“, რუსეთიძ, გიორგი გუგავა („არსენალი“, ესპანეთიძ.

**თავდამსხმელები:** გიორგი ივანიშვილი („ვოლენი“, შვეიცარიაძ, მათე ვაწაძე („დინამო“ძ, გიორგი ჭედია („ოლიმპი“ძ.

ირლანდია-საქართველოს მატჩს ბერძენი არბიტრები მოემსახურებიან. მეორე შესარჩევ ჯგუფში, სადაც ქართველი ახალგაზრდები გამოდიან, შემდეგი მდგომარეობაა:

| | |
|---|---|
| **1 ესტონეთი** | 3 2 1 0 7 |
| **2 თურქეთი** | 3 2 0 1 6 |
| **3 შვეიცარია** | 3 2 0 1 6 |
| **4 საქართველო** | 2 1 0 1 3 |
| **5 ირლანდია** | 2 0 1 1 1 |
| **6 სომხეთი** | 3 0 0 3 0 |

# მკაცრად გასაიდუმლოებული



**ქალაქ ბასრაში, სადაც 14 ოქტომბერს უნდა გაიმართოს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი თურქეთისა და სომხეთის ნაკრებებს შორის, მკაცრად არის გასაიდუმლოებული სტუმართა ნაკრების ადგილსამყოფელი.** საერთოდ კი, აპირებენ უშიშროების უპრეცედენტო ზომების გატარებას. მოელიან შეხვედრაზე სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის ჩასვლას. მან ხომ თურქი კოლეგის აბდულ გიულის ოფიციალური მიწვევა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის შემოდგომაზე თურქეთის პრეზიდენტი ერევანში დაესწრო სომხეთ-თურქეთის ნაკრებების შესარჩევ მატჩს.

ითვალისწინებენ რა ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ რთულ ურთიერთობასა და ორივე ქვეყნის ლიდერების მცდელობას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთვის, როგორც სტადიონზე, ისე მის გარეთ პროტესტების ნებისმიერ მცდელობას პოლიცია აღკვეთს.

ჭადრაკი

# მჭედლიშვილმა მანილას ტურნირი მოიგო



**ქართველმა დიდოსტატმა მიხეილ მჭედლიშვილმა ფილიპინების დედაქალაქ მანილაში დაძაბულ საერთაშორისო ტურნირზე ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა.**

9 ტურად გამართულ პირველობის დასკვნით დღეს მჭედლიშვილმა შავი ფიგურებით ინდოელი აბიჯეტ გუპტა დაამარცხა და 7 ქულით ჩემპიონობა იზეიმა.

ასეთივე მონაგარი აღმოაჩნდა ირანელ მაგამი ელშან გაემისაც, თუმცა, იგი ქართველ დიდოსტატს დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით ჩამორჩა. მანილას ტურნირზევე 5-5 ქულით მე-13 ადგილზე გავიდა მერაბ გაგუნაშვილი, რომელმაც ბოლო ტურამდე დაუმარცხებლად მიაღწია. დასკვნით შეხვედრაში კი ფილიპინელ როხელიო ანტონიოსთან დამარცხდა.

ინტერნეტიდან

## პენალტის დარტყმისთვის დააჯარიმეს

**ეს მოხდა ფეხბურთში რუსეთის ჩემპიონატის 22-ე ტურზე 19 სექტემბერს. ერთმანეთს ხვდებოდნენ პრემიერ-ლიგის გუნდები „სატურნი“ და „სპარტაკი“.**

მეორე ტაიმის დასაწყისში შეხვედრის მსაჯმა პენალტი დანიშნა „სატურნის“ კარში, როდესაც ბურთი დადეს 11-მეტრიანის ადგილზე, მინდორზე გამოვარდა ორი გულშემატკივარი, ერთმა მათგანმა ზუსტი დარტყმით ბურთი გააგზავნა კინსკის კარის ბადეში. შემდეგ კი „ნამდვილი“ პენალტი გაიტანა „სპარტაკის“ ნახევარმცველმა ალექსმა.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა ფეხბურთის მინდორი ლითონის ბადით შეღობილი ყოფილა მხოლოდ გვერდით ტრიბუნებთან, წესრიგის დამრღვევნი კი მინდორზე VIP სექტორიდან შეიჭრნენ, სადაც მილიციელებიც კი არ იდგნენ.

სასამართლომ „პენალისტები“ 500 რუბლით დააჯარიმა, შეეძლო 15 დღით პატიმრობის მისჯაც.






## მუსლიმანები არ ითამაშებენ ჰომოსექსუალებთან

**პარიზის საფეხბურთო ლიგაში საჩივარი შეიტანა ჰომოსექსუალების გუნდმა „პარი ფუტ გეიმ“, რადგან მათთან თამაშზე უარი თქვა მუსლიმანურმა კლუბმა „კრეტეი ბებელმა“, რაც მეტოქეებს ელექტრონული ფოსტით აცნობეს თამაშის წინა დღეს.**

ბოდიში, მაგრამ თქვენი გუნდის სახელის გამო, და რომ მასში ჰომოსექსუალები თამაშობენ, აგრეთვე ჩვენი კლუბის პრინციპების გამო, რაც მუსლიმანობაზეა დაფუძნებული, არ შეგვიძლია თქვენთან თამაში, – ნათქვამია წერილში, – ჩვენი რწმენა ფეხბურთზე ძლიერია“.

როგორც ჰომოსექსუალთა კლუბის ერთ-ერთმა დამაარსებელმა პასკალ ბრეტემ განაცხადა, ეს გადაწყვეტილება ჰომოფობიური და არაკანონიერია. ის დაემუქრა „ბებელს“ პრესაში გამოსვლით. მან ისიც თქვა, რომ მისი გუნდის კარი ღიაა ნებისმიერი რასის, რწმენისა და სექსუალური მიდრეკილების ფეხბურთელებისთვის. თუმცა მუსლიმანების გუნდი ამით ვერ შეაშინეს.

## რესტლინგიდან – „პლეიბოიმდე“

**– რესტლინგის – ბრძოლის წესების გარეშე – ბრწყინვალე წარმომადგენელი ტრეისი ბრუკსი ალბათ არ გამოჩნდება ყველასათვის ხელმისაწვდომ ჟურნალის „პლეიბოის“ გარეკანზე, სამაგიეროდ, მისი თაყვანისმცემლები სულ მალე მას იხილავენ ამ ჟურნალის სპეციალური ფასიანი დამატების ყდაზე. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ტრეისი იქნებოდა პირველი წარმომადგენელი ბრძოლის წესების გარეშე – TNA, რომელიც ამ ჟურნალის გარეკანზე გამოჩნდებოდა. ამიტომაც მას უფასო პუნშითაც ამარაგებს.**



ბოლო ხანებში ჟურნალის შეფ-რედაქტორმა ჰიუ ჰეფინერემ შეცვალა დამოკიდებულება რესტლინგის ვარსკვლავებთან, როგორი ლამაზმანებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ლუკმაპური არ უნდა წაერთმიათ ფოტომოდელებისთვისო.

„მე მირჩევნია რინგზე ბრძოლა, ჩემთვის მეორადია გაშიშვლებულად გადაღება, ჩხუბი ჩემი ცხოვრება, ჩემი სამყაროა, რომლის გარეშე ვერ გავძლებ“, – აღიარა ტრეისმა.

22 წლის კანადელი ლამაზმანი პირველად 2001 წელს გადაიღეს, მისი მომხიბვლელი გარეგნობის წყალობით კი რესტლინგის გულშემატკივართა თაყვანისმცემლების რიცხვი განუზომლად იზრდება.

ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

# გავრცელებული და საშიში

ამ ბოლო დროს გავრცელდა ზოგი ისეთი გამოთქმა, რომლებიც შინაარსობრივად მცდარია და მშობლიურ მეტყველებას ანაგვიანებს. ერთი ასეთია პოპულარული იდიომური გამოთქმის უზუსტო (უალაგოძ ხმარება. ეს იდიომა ამგვარია: „დალი აქვს დასმული“. კერძოდ, მავანი კორესპონდენტის ნაწერში წავიკითხავთ ამგვარ რასმე. იგი ლაპარაკობს გამოჩენილ გვარზე, აქებს მას და ბოლოს დასძენს – „ამ გვარსაც თავისი დალი აქვს დასმული“. ავტორი არ უფიქრდება იმას, რომ „დალდასმული“ ნეგატიური გაგების ცნებაა. „დალი აქვს დასმული“ იმას ნიშნავს, რომ ცუდია, არ არის კარგი. საქმე ისაა, რომ ძველად დადაღავდნენ ხოლმე დამნაშავეს, ქურდს, თუღსა და ავკაცს. ასევე ზოგიერთ ცხოველს. ამა თუ იმ გვარის (პიროვნებისძ ქება გწადია? მაშინ უნდა გამოიყენო სათანადო გამოთქმები: „ტვიფარი აქვს დადებული“ ან კიდევ უკეთესი: „ამ გვარს თავისი (სიკეთის, დიდების, ქველობის, ტალანტის...ძ ბეჭედი აზის“.

„ბეჭედი აზის“ დადებით აზრს გამოხატავს.

მეორე მცდარი გამოთქმა ამგვარია: ამ ბოლო დროს ხშირად იტყვიან და წერენ კიდეც ასეთ რამეს – **„ადამიანთა საზოგადოებაში“.** „ადამიანთა საზოგადოება“ უხეში შეცდომაა. განა არაადამიანთა საზოგადოება, ვთქვათ, პინგვინთა საზოგადოება, არსებობს?

საზოგადოება თავისთავად გულისხმობს „ადამიანთას“. ამიტომ ეგ ეპითეტი ისევე ზედმეტია, როგორც ეპითეტი „სამშობლო“ ამ წყვილეულში – „სამშობლოს პატრიოტი“. საქმე ისაა, რომ „პატრია“ უცხოურია და მამულს, სამშობლოს ნიშნავს. მაშ, „პატრიოტს“ წინ „სამშობლოს“ წამძღვარება არ სჭირდება.

ქართული ენის „მოყვარე მტერი“ გახლავთ ამ ტიპის გამოთქმები: **„ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობისთვის“, „ზრუნვა ღარიბებისთვის“, „ზრუნვა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის“...**

ყოველი ამგვარი გამოთქმა ენობრივი ხარვეზია და დროულად უნდა უკუვაგდოთ. მართებულია არა „ზრუნვა კეთილდღეობისთვის“, არამედ „ზრუნვა კეთილდღეობაზე“. მაშ, არა „თვის“, არამედ „ზე“ თანდებული!

ამრიგად მართებულია: ზრუნვა კეთილდღეობაზე, ზრუნვა ღარიბებზე, ზრუნვა ამაღლებაზე; სამაგიეროდ, „თვის“ თანდებული უნდა მოვიმარჯვოთ ამგვარ ვითარებაში: თავი დადო მამულისთვის, თავი გაწირა ხალხისთვის...

ხშირად „იგი“ ნაცვალსახელს გაყინულს ტოვებენ სახელობით ბრუნვაში და ვიმეთ ასეთ უსწორო ზმებს: **იგივეს შეგეკითხები; იგივე კაცის მანქანა; იგივე პოლიციელმა...**

სამივე შემთხვევაში „იგივე“ უნდა ჩაისვას სათანადო ბრუნვებში. მაშინ მივიღებთ მართებულ შესიტყვებებს: „იმავეს შეგეკითხები“; „იმავე კაცის მანქანა“; „იმავე პოლიციელმა“...

ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ **„ვარდნასა“** და **„ცვენას“.** აკაკი გოგიჩაიშვილმა თავის საუბრებში ეკონომიკის საკითხებზე ბრძანა: „ბომბები ვარდება“. იქვე მოგვიანებით ისევ გაიმეორა: „ჩამოვარდა ბომბები“.

„ბომბი ჩამოვარდა“ მხოლობითის ფორმაა, მაგრამ, მრავლობითში იქნება „ბომბები ჩამოცვივდა“. მაშ, „ვარდნა“ ერთისა, „ცვენა“ – მრავლისა!

მანვე ბრძანა: **„ახლოვადიან პერსპექტივაში რას ურჩევდით ხალხს?“**

ესეც ამ ბოლოს ფრიად გავრცელებული და საშიში რუსულის კალკია. ქართულად ფრაზა ასე გაიმართებოდა: „ახლოვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით რას ურჩევდით ხალხს? უფრო უკეთესია: ახლო მომავალში რას ურჩევდით ხალხს?

მწერალმაც, მკითხველმაც, პედაგოგმაც – ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, დავიცვათ „ჩვენი ენა ქართული“ კალკების, რუსიციზმების, ინგლისური სიტყვების ინტერვენციისა და აგრესიისაგან.

არ დავიჯეროთ?

# მეცნიერები ადასტურებენ, რომ ტურინის სუდარა – სიყალბეა

**იტალიელი მეცნიერი ლუიჯი გარლასჩელი კვლავ შეეცადა დაადასტუროს, რომ სუდარა იესო ქრისტეს გამოსახულებით, რომელიც ცნობილია როგორც ტურინის სუდარა, შუა საუკუნეების სიყალბეა.**

ქალაქ პავიის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის პროფესორი იტყობინება, რომ თავისი ექსპერიმენტის დროს მან გამოიყენა მასალები და მეთოდიკა, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო შუა საუკუნეების ოსტატებისთვის.

მათ შორისაა – ქსოვილის დამუშავება პიგმენტებით და მისი ღუმელში გახურება.

1988 წელს მეცნიერებმა მოახდინეს ტურინის სუდარის ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა მისი



სავარაუდო ასაკი. გამოკვლევის შედეგების თანახმად იგი დამზადდა 1260 და 1390 წლებს შორის.

სხვათა შორის, ზოგიერთ ექსპერტს ეჭვი ეპარება 1988 წლის ექსპერტიზის მონაცემების ჭეშმარიტებაში, ისინი ამტკიცებენ, რომ გამოიკვლიეს არა თავად სუდარა, არამედ უფრო ძველი საკერებლები, ანდა მასალები, რომლებიც ქსოვილზე მოხვდა ხანძრის დროს.

4,4 მეტრის სიგრძისა და 1,1 მეტრი სიგანის სელის უხეშ ტილოზე აღბეჭდილია მამაკაცის სახის წაშლილი გამოსახულება, აგრეთვე სისხლის კვალი იმ ადგილებში, რომლებიც შეესაბამება იესო ქრისტესთვის მიყენებულ ჭრილობებს მისი ჯვარცმის დროს.

იმ ტესტებთან დაკავშირებით, რომლებიც მოეწყო 1988 წელს, ბევრი შეკითხვა წამოიჭრა და მეცნიერებმა მაინც ვერ ახსნეს, თუ როგორ აღმოჩნდა გამოსახულება ქსოვილზე.

როგორც ლუიჯი გარლასჩელი ამბობს, რომელმაც უნდა წარადგინოს თავისი მუშაობის შედეგები კონფერენციაზე პარანორმალურ მოვლენებთან დაკავშირებით უახლოეს გამოსასვლელ დღეებში, ბევრს მიაჩნია, რომ „სუდარაზე გამოსახულების გაჩენის ბუნების ახსნა შეუძლებელია, ისევე, როგორც არ შეიძლება აღვადგინოთ იგი არსებული საშუალებებით“.

გარლასჩელიმ, რომლის სამუშაოსაც აფინანსებს ათეისტებისა და აგნოსტიკოსების იტალიური ასოციაცია, შეძლო მიეღო იმის მსგავსი გამოსახულება, რაც არის არსებულ სუდარაზე. სელის ტილოში შეახვიეს მოხალისე, შემდეგ სელს წაუსვეს სპეციალური პიგმენტები, რომელშიც იყო მჟავების ნაშთი. სახისთვის გამოიყენეს ნიღაბი.

ამის შემდეგ პიგმენტი ხელოვნურად დააძველეს ტილოს მონაცვლეობითი გახურებით ღუმელში და რეცხვით.

ამან საშუალება მოგვცა ჩამოვაცილოთ ტილოს ზედაპირს პიგმენტი, მაგრამ დარჩა წაშლილი გამოსახულება იმისა, რომელიც წარმოჩენილია სუდარაზე.

შემდეგ მეცნიერებმა დაუმატეს სისხლისა და წყლის ლაქები, გაახურეს, რითაც კინაღამ არ გაანადგურეს რელიკვია, და ამოწვეს რამდენიმე ადგილი, რათა მიეღწიათ საჭირო ეფექტისთვის.

მეცნიერის აზრით, მისი სამუშაო ვერ შეძლებს დაარწმუნოს ყველა მორწმუნე.

„თუ მათ არ დაუჯერეს სუდარის რადიონახშირბადის დათარიღების შედეგებს, რომელიც აწარმოეს მსოფლიოს საუკეთესო ლაბორატორიებმა, რასაკვირველია, ისინი მე არ დამიჯერებენ“, – თქვა მან.

სუდარა იმყოფება ტურინის ტაძარში, იგი იშვიათად გამოაქვთ საყოველთაო ხილვისთვის.

**„ბი-ბი-სი“**

ჩვენი გორისა

**სახელგანსმენილი რუსეთელი მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ოლეგ ბასილაშვილის 75 წლისთავზე იქაური გაზეთები რიგში დადგნენ ინტერვიუს ასაღებად. გთავაზობთ ერთ ამონარიდს „არგუმენტი ი ფაკტის“ პუბლიკაციიდან (№40, 2009 წ.ძ.**

– მებრძოლი არასდროს არ ვყოფილვარ, უბრალოდ ვიზრდებოდი და გიორგი ტოვსტონოგოვი მზრდიდა დიდ დრამატულ თეატრში. თვითონ ისიც არცროდის გახლდათ მებრძოლი, არცროდის ეწეოდა თავისი პოლიტიკური მიდრეკილებების დეკლარირებას; თუმცა საკუთარი სპექტაკლებით ცდილობდა იმის ახსნას, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, მაყურებელს უნერგავდა თანადგომისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობებს.

## საქართველოსთან ისე უნდა ვილაპარაკოთ, როგორც ტოლთან

ჩვენ ყველა მეტ-ნაკლებად დამუხტული ვიყავით მისი ძალით, დამუხტული ვიყავით სამართლიანობისათვის საბრძოლველად.

ჟურნალისტი ეკითხება იუბილარს:

**– დღეს ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობს თემურ ჩხეიძე, ეროვნებით ქართველი; თქვენს ძარღვებში ასევე ქართული სისხლი ჩქეფს... ოღონდ ეს როგორ გამოვიდა, რომ უახლოესი ჩვენი მეზობლები უპირველეს მტრებად გვექცნენ?**



– ეგებ იმიტომ, რომ ყოველ ჩვენგანში, რუსეთის წინამძღოლების ჩათვლით, რომლებიც ჩვენვე ავირჩიეთ, დიდმპყრობელური შოვინიზმის ნარჩენები ცოცხლობენ. გვავიწყდება, რომ არც საქართველო, არც რუსეთი არ არიან ჩვენი უმცროსი ძმები, ისინი დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახლავან! და იმათთან უნდა ილაპარაკო, ვითარცა თანასწორებთან. მართლა ნამდვილი დემოკრატიის აშენებას რომ ვცდილობდეთ, დახმარების ხელს გავუწვდიდით იმ რესპუბლიკებს, რომელთაც რაღაცა არ გამოუდით. გავუწვდიდით, რომ ერთად ვყოფილიყავით, კარგ კავშირში. ამის ნაცვლად მართლმადიდებელი ქვეყნები ერთმანეთთან იწყებენ ჩხუბს! რაღაც წვრილმანი საბაბებით ჰკბენენ ერთიმეორეს. თუმცაღა ჩვენს თავსავე ვკბენთ რომელიღაც ბრიყვული ამბიციების გამოკიდებით. ჩემთვის კი ეს ძალიან უსიამოვნოა!

**მოამზადა**

**თამაზ ეზანოიძემ**

ინფორმაცია

## მკვლელი სამართალდამცავების საქმეს სპეციალური კომისია გამოიძიებს

**პარლამენტის წევრი გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ ე.წ. „სამართალდამცველი მკვლელების“ საქმის გამოსაძიებლად პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნისათვის ყველაფერს გააკეთებს და საპარლამენტო ოპოზიციას მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს. ეს განცხადება ცაგარეიშვილმა პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.**

**როგორც მან აღნიშნა, პირადად მას ისევე, როგორც ყველა პარლამენტარს, 28 სექტემბერს წერილობითი ფორმით მიმართეს საგამოძიებო კომისიის შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც შედიან დაჩი ცაგურია, ირაკლი კორძაია და ჯაბა ჯიშკარიანი. საინიციატივო ჯგუფი ითხოვს პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც გამოიძიებს ზურაბ ვაზაგაშვილის, ალექსანდრე ხუბულოვის, ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, გიორგი გამცემლიძის, ვალერი ფხაკაძის, როინ შავაძის, ბუთხუზ კიზირიას, ზვიად ბაბუხადიას, ვალერი ბენდელიანის, რომან სურმანიძის, მარად ართმელიძის, მურად გორგაძის, გურამ შარაძის, ევგენი აფრასიძის და ომეხ აფრასიძის მკვლელობების ფაქტებს.**

**პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნის საკითხის ინიცირება შეუძლია ფრაქციას ან დეპუტატთა 1/4-ს. გია ცაგარეიშვილი ოპოზიციონერ კოლეგებს მოუწოდებს, გამოეხმაურონ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას და ხელისუფლებას ამ საქმეების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნა მოსთხოვოს.**

## რადიო „თავისუფლება“ აფხაზეთსა და ოსეთში

**აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მაუწყებლობას რადიო „თავისუფლება“ დაიწყებს.**

**„თავისუფლების“ ცენტრალური ოფისის გადაწყვეტილებით, გადაცემებს ქართული და რუსული რედაქციები ერთობლივი ძალებით მოამზადებენ.**

**რადიოს წარმომადგენლების თქმით, ეთერში ახალი ამბები და მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა გავა, რომელიც რეგიონში სხვადასხვა მხარის შეხედულებების დაახლოებისკენ იქნება მიმართული.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

**„ქ. თბილისში ფოთელების საზოგადოების“ გამგეობა იზიარებს ანზორ შონიას მწუხარებას ძმისწულის**

**ზვიად შონიას**

**გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ანზორ შონიას ძმისწულის**

**ზვიად შონიას**

**გარდაცვალების გამო.**

„არტ გალერეა მეგზური“

აწყობს ედიშერ ბარამიძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას.

მის: ალ. დიუმას 4.

## დღის კალენდარი

## 8 ოქტომბერი

### მე-18 შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

**ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა არსენი დიდისა, კათოლიკოსისა (887ქ. ღირსი ევფროსინე ალექსანდრიელისა (Vქ; ღირსი მოწამე პაფნუტი მეგვიპტელისა და მის თან 546 მოწამეთა (IIIქ; მიცვალება სერგისა – რადონეჟელ იღუმენისა, საკვირველთმოქმედისა (1392ქ.**

### დაიბადნენ:

**1864 – ბრონისლავ ნუშიჩი,** სერბი დრამატურგი.
**1869 – კომიტასი,** გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1935 წელს.
**1889 – ნიკოლოზ კანდელაკი,** მოქანდაკე, გარდაიცვალა 1970 წელს.
**1895 – ხუან დომინგო პერონი,** არგენტინის პრეზიდენტ-დიქტატორი (1946-1955, 1973-1974ქ, გარდაიცვალა 1974 წელს.
**1907 – პეტრე ოცხელი,** თეატრის მხატვარი, გარდაიცვალა 1937 წელს.
**1925 – ანდრეი სინიავსკი,** რუსი დისიდენტი მწერალი, გარდაიცვალა 1997 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1754 – ჰენრი ფილდინგი,** ინგლისელი მწერალი.
**1948 – გრიგოლ მუხაძე,** ქართველი ქირურგი, აკადემიკოსი.
**1953 – ჯაჯუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია,** მწერალი, პედაგოგი.
**1963 – იონა ტუსკია,** კომპოზიტორი, ქართული კამერული და სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
**1992 – ვილი ბრანტი,** გერმანელი პოლიტიკოსი, გერმანიის ფედერალური კანცლერი (1969-74ქ.

### მოვლენები:

**1085 წელი** – ვენეციაში აკურთხეს წმინდა მარკოზის ტაძარი.
**1600 წელი** – სან-მარინოს რესპუბლიკამ კონსტიტუცია მიიღო.
**1690 წელი** – თურქეთმა ბელგრადი დაიპყრო.
**1864 წელი** – პეტერბურგში გამოვიდა პირველი ქართული ლიტერატურული ალმანახი „ჩონგური“.
**1867 წელი** – გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.
**1872 წელი** – ოტო ლეოპოლდ ბისმარკი გერმანიის კანცლერი გახდა.
**1919 წელი** – ამერიკაში განხორციელდა პირველი ტრანსკონტინენტური საჰაერო გადაფრენა.
**1970 წელი** – ალექსანდრ სოლჟენიცინი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურის დარგში.
**1998 წელი** – კანადა და ნიდერლანდები გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აშშ** – კოლუმბის დღე,
**მალავი** – დედების დღე,
**კანადა** – მადლიერების დღე.

მედიანიუსი

## ინფორმაცია

### ბათუმში სამხედროების სამარხი აღმოაჩინეს

**ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, არდაგნის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სამხედროების სამარხი აღმოაჩინეს. ქვის ლოდზე ძველი წარწერა არის შემორჩენილი, სადაც აღნიშნულია, რომ 1938 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის ღამეს რამდენიმე სამხედრო პირი აფეთქების შედეგად დაიღუპა.**

**კინოდოკუმენტალისტ ზაურ მარგიევის თქმით, წლების წინ ბათუმში ამ ტერიტორიაზე ციხე-სიმაგრე ფუნქციონირებდა, რომლის ნაწილი დღემდე შემორჩენილია. დოკუმენტალისტის აზრით, კარგი იქნება, თუკი ისტორიული შენობის ნაწილს რესტავრაცია ჩაუტარდება.**

ექსპრესნიუსი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ყველაფერი ყველაფერზე

### „მე ვაზროვნებ, რაც ნიშნავს, რომ ვარსებობ“

**რენე დეკარტის (1596-1650ქ ამ განთქმულ აფორიზმში ისიც უნდა დავუმატოთ, რომ როგორც მეცნიერი თვლიდა, „ადამიანზე მისი ნიჭით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ იმ მიმართულებითაც, რომელსაც იგი ამ ნიჭს აძლევს“.**

### რატომ დაითხოვა ევკლიდემ მოწაფე?

**გადმოცემით, როცა ახალგაზრდა სასწავლებლად მივიდა ევკლიდესთან, პირველ რიგში იკითხა:** „რა სარგებლობას მომცემს მე ეს სწავლა?“ ევკლიდემ უბრძანა, მიეცათ მისთვის ობოლი (მცირეოდენი თანხაქ და დაუყოვნებლივ გაეძევებინათ: „იგი სარგებლობას ეძებს, ცოდნას კი არა“.

### მასწავლებელს ხოტბა შეასხა

**ცნობილმა მწერალმა, კინორეჟისორმა და მსახიობმა ვასილი შუკშინმა ნამდვილი ხოტბა შეასხა თავის მასწავლებელ მიხაილ რომს:**

– „ცხოვრებაში, როცა ასაკში შედიხარ, იწყებ მუდმივად მაფიქრალი ადამიანის ძალის გაგებას. ეს არის მომაჯადოებელი, დიდი ძალა. ყველაფერი წარმავალია: ახალგაზრდობა, მომხიბვლელობა, ვნება – ყველაფერი ბერდება და ირღვევა. აზრი კი არ იკარგება და მშვენიერია ის კაცი, რომელიც ამ აზრს მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებს“.

### რომელი უფრო დიდი დანაშაულია?!

**ვოლტერი ფიქრობდა, რომ ხშირად სხვისი აზრის მითვისება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ვინმესთვის ფულის მოპარვა. ამავე დროს იგი ჯეროვნად აფასებდა სხვა ქვეყნების მეცნიერების აზრებს:**

– განა ჩვენ არ უნდა ვაღიაროთ ინგლისელის მიერ გამოთქმული ჭეშმარიტება, მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთში დავიბადეთ? ეს გრძნობა ფრანგისთვის უღირსიც არის და შეუფერებელიც. მოაზროვნე ადამიანისთვის არ არსებობს ფრანგი ან ინგლისელი. ვინც განათლებას მოგვიტანს, ჩვენი თანამემამულეც ის არის.

### ნილს ბორი შვედეთში ნავით გადავიდა

**ნილს ბორმა (1885-1962ქ, აინშტაინის მეგობარმა, კოპენჰაგენში თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი შექმნა და მსოფლიო აღიარება დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ევროპის, ამერიკისა და იაპონიის ახალგაზრდა მეცნიერები. ბორმა შექმნა ატომის კვანტური თეორია, სხვებთან ერთად დაამუშავა კვანტური მექანიკის საფუძვლები და ატომური რეაქციის თეორია.**

ომის დროს ბორმა შეიტყო, რომ ფაშისტები ამზადებდნენ ახალ საიდუმლო იარაღს – ატომურ ყუმბარას. საჭირო იყო ამ საშინელი საფრთხის თავიდან აცილება, დასწრება და მსოფლიოს გადარჩენა. ამიტომ ნილს ბორი 1943 წლის სექტემბრის ღამით, სიცოცხლის საფრთხის ფასად, ნავით გადავიდა შვედეთში, იქიდან კი – ინგლისსა და ამერიკაში.

### მინდოდა, ჯეროვნად ჩემი მშობლიური ენა მცოდნოდა

**ცნობილი იყო, რომ მიშელ მონტენმა (1533-1592ქ ბრწყინვალედ იცოდა ყველა ძირითადი ევროპული ენა, ყველაზე სრულყოფილად კი – ლათინური და სინანულით ამბობდა, აი, ბერძნულ ნაწარმოებებზე კი ვერაფერს ვამბობ, რადგან ეს ენა სკოლის მოწაფეების დონეზეც არ ვიციო.** ერთგვარი განმარტება: კათოლიკური ეკლესია მაინცდამაინც მხარს არ უჭერდა იმათ, ვინც სწავლობდა ბერძნულს, მართლმადიდებლობის ენას. ამის გამოც რაბლეს სასტიკი კრიტიკა დაატყდა...

– რაც შემეხება მე, მე უპირველეს ყოვლისა, ჯეროვნად ვიცოდი ჩემი მშობლიური ენა.

მოამზადა
გივი გამრეკელმა

## ანეკდოტები

მე სიტყვის კაცი ვარ. ვთქვი არ გავაკეთებ-მეთქი და არ გავაკეთე.

* * *

რა არის ჩვენი ცხოვრება? ტირე ორ რიცხვს შორის.

* * *

– რად მიყიდე ამხელა პერანგი, განა არ იცი, რომ ორი ზომით ნაკლები მჭირდება?



– საყვედურობს ქმარი ცოლს.

– როგორ არ ვიცი, მაგრამ გამყიდველი ჩემი კლასელი იყო და არ მინდოდა ეთქვა, ასეთ ლილიპუტს რამ გააყოლაო.

* * *

სამსახური, ისევე როგორც ქალი, არ უნდა მიატოვო, სანამ სხვას არ იპოვი.

* * *

არსებობს ფულის შოვნის საუკეთესო საშუალება. მაგრამ აი, ვერაფრით ვერ მივაგენი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.